ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 15 იანვარი, 2019 №11 (7866) ფასი: 60 თეთრი

## მეუფე პეტრეს, შეიძლება, სინოდი დაატოვებინონ?

გვ.4



## 15 იანვრიდან

ჯემალ ჩახავა

## ქურდები და არიფები

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი




# ლევან ხაბეიშვილი: „კირკიტაძე სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო, მაგრამ გახარია-ივანიშვილის ტყვეობაში რჩება“



გვ.3

## ზაალ ანჯაფარიძე: „შესაძლოა, „ოცნების“ ლიდერებს ერთმანეთზე კომპრომატები აქვთ, რაც ჯერ თაროზეა შემოდებული“

„თუ მოსამართლეების თემაზე ბესელიას პოზიცია არ გაითვალისწინეს, საქმე „ოცნების“ დაშლისკენ წავა“



გვ.2

## მამუკა ბახტაძე სკანდალში გაეხვია

რატომ მიულოცა პრემიერმა ტრისტან წითელაშვილს ახალი წელი



გვ.4



გვ.5

## ბიძინა ბუჯაბიძე: „ოცნებას“ ვთხოვ, გაუფრთხილდეს ივანიშვილის ავტორიტეტს“



გვ.2

## ბესელიას სკანდალი არ შედგა

დავით ჭიჭინაძე: „ალბათ, ქალბატონმა ეკამ ბოლო ტყვია შეინახა, თუ მოხდება ამ მოსამართლეების გატანის ძალადობრივი მცდელობა“

## ნაზი ჯანეზაშვილი: „მიქაუტაძის არ მჯერა, მათ არაერთხელ მოგვატყუეს“



გვ.3

სამართალი გვ.7

## პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებული ბიძინა ცხადაძე გარდაიცვალა





## „ძირს ეგდო, ორი გასროლის ხმა გავიგეთ, ორივე მუხლშია დაჭრილი“

რა მოხდა ვაკეში, მცხეთის ქუჩაზე



## ბათუმში მე-11 სართულიდან 43 წლის ქალი გადმოვარდა

ეკონომიკა გვ.6



## 1 იანვრიდან დაგროვებით საპენსიო სისტემაში 5.000-ზე მეტი კომპანია ჩაერთო

## თემურ ბასილია: „აუცილებელია პასუხი გაეცეს კითხვას — ეს დარღვევა მხოლოდ „თიბისი ბანკში“ მოხდა თუ სხვა ბანკებშიც ხდებოდა?“



## „არც ერთ ბიზნესს არ უხარია გადასახადების პირდაპირ ან ირიბად გაზრდა, თუმცა დაგროვებითი საპენსიო სისტემა ქვეყანაში უნდა არსებობდეს“



ISSN 1987-9385

5 საავთიაქო ქსელში გრიპის ვაქცინის დეფიციტია

3 სამხარაულის ექსპერტიზის ბიურომ „გურამიშვილის“ მეტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტი დაიწუნა

5 „ბოლო წლებში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კაპიტალის ბაზრის განვითარებისთვის არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა“

6 „თამბაქოზე აქციზის ზრდის გრძელვადიანი გეგმა საქართველოს მთავრობამ დარგს უნდა გააცნოს“

# ბესელიას სკანდალი არ შედგა

## დავით ჭიჭინაძე: „ალბათ, ქალბატონმა ეკამ ბოლო ტყვია შეინახა, თუ მოხდება ამ მოსამართლეების გატანის ძალადობრივი მცდელობა“

შორენა მარსაგიშვილი

გუშინ, 14 იანვარს, ძველი სტილით ახალ წელს, სრულიად საქართველო თოვლის პაპაზე მეტად, ეკა ბესელიას გამოჩენას ელოდა. რამდენიმე დღის წინ, ბესელიამ პარიზიდან დააანონსა – ორშაბათს ყველაფერს ნათელს მოვფენო.

ორშაბათი მალე მოვიდა, მაგრამ დაანონსებული ნათელი არ შედგა. ბესელიას განცხადებამ, ნათელის მოფენის ნაცვლად, კიდევ უფრო დააბნელა გარემო. მისი თანამოაზრე, დეპუტატი დავით ჭიჭინაძე მიიჩნევს, რომ ბესელიამ ბოლო ტყვია სამომავლოდ შემოინახა.

ერს ყველაზე მეტად იმის გარკვევა სურდა, დაუპირისპირდებოდა თუ არა დეპუტატი პარტიის მამას. რამდენიმე დღის წინ, ბიძინა ივანიშვილმა ბესელია საჯაროდ დაგმო. მედიამ ეს ყვითელი ბარათის ჩვენებად შეაფასა. დეპუტატი ამ მოსაზრებას არ იზიარებს.

ამბობს, რომ მას შეუძლია საკუთარ თავს უჩვენოს წითელ-ყვითელი ბარათები. ივანიშვილს თავის მოწინააღმდეგედ ცოცხალი თავით არ მიიჩნევს.

ბესელიას მტკიცებით, ის ივანიშვილს ძალიან დიდ პატივს სცემს, თუმცა, თავის ფუნდამენტურ, მორალურ, ფასეულობებთან შეხებისას არავის წყენას არ მოერიდება.

– ჩემს პირად ემოციებზე მაღლა ყოველთვის იდგა და დგას სახელმწიფოებრივი ინტერესი. ბიძინა ივანიშვილი არ არის ჩემთვის უცხო ადამიანი და ვერ იქნება ვერასოდეს უცხო. მასთან ერთად 7 წელია ფეხდაფეხ მოვდივარ და მოვდივარ 10 ოქტომბრიდან. ყველაფერი გამოვიარეთ ერთად და, რა თქმა უნდა, მას ძალიან დიდ პატივს ვცემ, მაგრამ ის საკითხები, რომელიც ჩემთვის ფუნდამენტურია, პრინციპულია, ჩემს მორალურ ფასეულობებს ეხება, აქ ვერავის წყენას ვერ მოვერიდები. მიმაჩნია, რომ ჩემი მოვალეობა არის, ვემსახურო ამ ქვეყანას. მე არა მგონია, რომ ბიძინა ივანიშვილი ჩემი მოწინააღმდეგეა. მგონია, რომ ეს არის დროებითი მოცემულობა და ამ ერთი განცხადებით პროცესს ნუ შევაფასებთ.



მხოლოდ მე შემიძლია, საკუთარ თავს ვუჩვენო ყვითელიც და წითელი ბარათიც და ვეცდები, ეს არ გავაკეთო. უმრავლესობიდან წასვლა-არწასვლას მე გადავწყვეტ. მე ვთქვი, რომ დავრჩები უმრავლესობაში და გავაგრძელებ საქმიანობას, მაგრამ თუ ეს უმრავლესობა ამ სიას სახეშეცვლილს, მაგრამ იმავე ვერსიით განიხილავს, მხარს დაუჭერს იგივე მოსამართლეებს, რომლებიც ემსახურებოდნენ სააკაშვილის ძალადობრივ რეჟიმს, ჩემს ადგილს უმრავლესობაში ვერ დავინახავ, – განაცხადა ბესელიამ.

მისთვის ახლა მნიშვნელოვანია, უვადოდ გასამწესებელ მოსამართლეთა შორის არ იყვნენ მოსამართლეები, რომლებიც ემსახურებოდნენ სააკაშვილის რეჟიმს.

მისი თქმით, პირველ ეტაპზე ის მიზანი, რაც დასახული იყო და რომელიც სიის განხილვის შეჩერებას გულისხმობდა, მიღწეულია და ახლა მთავარია მეორე ეტაპი შესრულდეს წარმატებით.

– ახლა მნიშვნელოვანია მეორე ეტაპი. პროცესი არ დასრულებულა. ამ პროცესში მეც და ჩემი თანამოაზრეებიც და კოლეგებიც, ვისთვისაც მნიშვნელოვანია, რომ საბოლოო მიზანი შესრულდეს – სამართლიანი, დამოუკიდებელი მართლმსაჯულება დავუტოვოთ ამ ქვეყანას და ჩვენს მომავალს, რომ შემუშავდეს ისეთი ცვლილებები, რომელიც გარანტიას შექმნის, რომ ვერ იქნება წარმოდგენილი უზენაეს სასამართლოში უვადოდ გასამწესებელ მოსამართლეთა შორის ის მოსამართლე ან ის მოსამართლეები, რომლებიც ემსახურებოდნენ სააკაშვილის ძალადობრივ რეჟიმს, ქმნიდნენ ამ სასტიკ რეჟიმს და იყვნენ მისი მსახურნი.

ეს არის პრინციპული საკითხი, რომელზეც შემდეგ ეტაპზე ანუ მეორე ეტაპზე ვიყო აქტიური, როგორც ყველა ჩემი კოლეგა და თანამოაზრე, – განაცხადა ეკა ბესელიამ.

მედიას და ერის ნაწილს იმის გარკვევაც სურს, დარჩება თუ არა ბესელია უმრავლესობაში. მისი თქმით, საპარლამენტო უმრავლესობაში დარჩენა დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს „ქართული ოცნების“ უმრავლესობა მოსამართლეების სიასთან დაკავშირებით.

– მეც და, დარწმუნებული ვარ, ჩემი თანამოაზრეებიც, მჯერა, რომ ცოტანი არ ვართ, ვაგრძელებთ ბრძოლას, რომელიც დავიწყეთ და ეს არის ჩემთვის მთავარი. მე მთელი სიცოცხლე ვიბრძოდი. მუდმივად ისმის კითხვები, წავალ თუ დავრჩები, ისმის მდაბიო შეფასებები, ვინ ვის გარიცხავს, ეს ყველაფერი არის მეასეხარისხოვანი ჩემთვის. ეს ყველაფერი არის უმნიშვნელო იმასთან შედარებით, რაზეც ვსაუბრობთ.

პირადად ჩემთვის უმრავლესობაში დარჩენის გადაწყვეტილება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა გადაწყვეტილებას მიიღებს ეს უმრავლესობა ამ სიასთან დაკავშირებით. მე არ ვიქნები იმ უმრავლესობის წევრი, რომელიც ხმას მისცემს იმ მოსამართლეებს, რომლებიც არიან დაკავშირებული სააკაშვილის ძალადობრივ სისტემასთან.

მე გავაგრძელებ ბრძოლას თანამოაზრეებთან ერთად იმისთვის, რომ მაშინ, როცა არ ვიქნებით ხელისუფლებაში, ჩვენს ქვეყანას დავუტოვოთ გამართული მართლმსაჯულება, – აღნიშნავს დეპუტატი.

ვერმოფენილი ნათელით უკმაყოფილო ერის დამშვიდება დავით ჭიჭინაძემ სცადა. მისი თქმით, ბესელია სათქმელს აუცილებლად იტყვის.

მისი თქმით, პირდაპირ იქნა აღიარებული, რომ სია ეკუთვნოდა ბიძინა ივანიშვილს.

უმრავლესობიდან გაძევებული ჭიჭინაძე ვარაუდობს, რომ ხელისუფლება მაინც შეეცდება, უზენაეს სასამართლოში გასამწესებელ მოსამართლეთა სია შემდეგ ჯერზე გაიტანონ და ბესელია თავის ბოლო ტყვიას მაშინ გაისვრის.

– ქალბატონმა ეკამ თავისი განცხადებით დაადასტურა, რომ იყო მათ შორის შეთანხმება, რომლის საფუძველზეც ის გადადგა და ივანიშვილმა გაიწვია ის სია და პირდაპირ იქნა აღიარებული, რომ სია ეკუთვნოდა ივანიშვილს. არის საკითხები, რაც საზოგადოებამ უნდა იცოდეს, რასაც ისინი საუბრობენ. ბოლო ტყვია არ უნდა გამოიყენოს საერთოდ ადამიანმა და შეინახა, ალბათ, ქალბატონმა ეკამ ბოლო ტყვია იმ მძიმე შემთხვევისთვის, თუ სიტუაცია ასე განვითარდება და იქნება ძალადობრივი მცდელობა ამ მოსამართლეების გატანის, – დაამშვიდა ნათელმოუფენელი ერი დეპუტატმა.

# ზაალ ანჯაფარიძე: „შესაძლოა, „ოცნების“ ლიდერებს ერთმანეთზე კომპრომატები აქვთ, რაც ჯერ თაროზეა შემოდებული“

## „თუ მოსამართლეების თემაზე ბესელიას პოზიცია არ გაითვალისწინეს, საქმე „ოცნების“ დაშლისკენ წავა“

იაგო ნაცვლიშვილი

„ქართულ ოცნებაში“ ისევ დაპირისპირებაა. მოსამართლეების თემაზე კობახიძის ჯგუფთან დაპირისპირებული ეკა ბესელიას დაანონსებული ბრიფინგი არცთუ მწვავე გამოდგა. თუმცა, მოსამართლეების მიმართ მისი პოზიცია უცვლელია.

აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით „ახალ თაობასთან“ ანალიტიკოსი **ზაალ ანჯაფარიძე** საუბრობს.

***– „ქართულ ოცნებაში“ არსებულ ვითარებას როგორ აფასებთ? იყო მოლოდინი, რომ ბესელია ახლა მაინც იტყოდა ბევრ რამეს, რაც არ გამართლდა.***

– საქმე ისაა, რომ ჩვენ, სამწუხაროდ, არ ვფლობთ იმაზე მეტ ინფორმაციას, გარდა იმისა, რასაც საჯაროდ ამბობენ საზოგადოებისთვის. აქედან გამომდინარე შეგვიძლია მხოლოდ იმ ინფორმაციას დავეყრდნოთ, რაც სხვადასხვა წყაროებისგან გვესმის.

თუ ამ ინფორმაციას შევაჯამებთ და გავაანალიზებთ, ვნახავთ, რომ „ქართულ ოცნებაში“ ერთი მხრივ ინტერესთა ჯგუფების დაპირისპირება მიმდინარეობს, რომლებსაც აქვს ერთმანეთთან დაპირისპირება და ერთმანეთთან კონფლიქტში მყოფი ინტერესები და მოსამართლეთა თემა ერთ-ერთი ასეთი თემაა, სადაც მათი ინტერესები ერთმანეთს შეეჯახა. ამას ერთვის ღირებულებითი განსხვავებები, რაც სავსებით ბუნებრივია.

***– ბუნებრივი რატომ?***

– იმიტომ, რომ ისეთ ეკლექტურ ორგანიზაციაში, როგორიც „ქართული ოცნებაა“, ეს ბუნებრივია. ეს ორგანიზაცია თავის დროზე ჩამოყალიბდა და შეიქმნა ერთი პიროვნების გარშემო ერთი მიზნით, რომ ხელისუფლებიდან ჩამოეშორებინათ ნაცმოძრაობა და სააკაშვილი.

როდესაც ესენი ხელისუფლებაში მოვიდნენ, უკვე მთელ რიგ მწვავე და საზოგადოებრივად საკმაოდ მაღალი ინტერესის მქონე საკითხებს შეეჯახნენ. აქედან გამომდინარე ბუნებრივად წარმოიშვა ეს დაპირისპირებები. ეს დაპირისპირება ახალი არ არის, ადრეც იყო. უბრალოდ, პარტიის კედლების გარეთ ის აქამდე ასე აქტიურად არ გამოდიოდა.

***– რამდენად შორს წავა პროცესი? მივა საქმე „ქართული ოცნების“ დაშლამდე?***

– ყველაფერი თუ არა, ძალიან ბევრი რამე დამოკიდებულია შიდაპარტიულ პროცესთან, მოახერხებენ თუ არა მხარეები ერთმანეთთან პოზიციების შეჯერებას და შერიგებას და ასევე იმაზე, რა პოზიციას დაიკავებს თავად ბიძინა ივანიშვილი.

ეკა ბესელიას ბოლო განცხადებები გაცილებით უფრო მოზომილი და კომპრომისული იყო, ვიდრე 2 კვირის წინ.

***– ეს როგორ უნდა გავიგოთ?***

– ეს ნიშნავს იმას, რომ ყველა ლიდერს, რომელიც „ქართულ ოცნებაშია“, აქვს თავისი მოწყვლადი წერტილები. შეიძლება ეს მოწყვლადი წერტილები ისეთი იყოს, რომ არსებობდეს რაღაცა კომპრომატების დასტა, რომელიც ჯერჯერობით თაროზეა შემოდებული.



ადვილად შეიძლება, ამ ადამიანებს შეახსენონ, რომ თუ ისინი ზედმეტად გააქტიურდებიან, მათ წინააღმდეგ შეიძლება დაიწყოს საქმეები და კომპრომატების გამომზეურება. ეს შეიძლება იყოს ერთგვარი შემაკავებელი ფაქტორი.

ყველაფერი მაინც იმაზეა დამოკიდებული, როგორ გადაწყდება მოსამართლეების საკითხი. თუ ჩვენ ვნახავთ, რომ ამ მოსამართლეების კანდიდატურების საკითხებში ბესელიას ფაქტორი არ გაითვალისწინეს, რაც რამდენიმე კვირაში გამოჩნდება, ეს დეტონატორი იქნება იმისა, რომ უმრავლესობაში ბზარი გაჩნდეს და საქმე მისი დაშლისკენ წავიდეს.

***– ახსენეთ ბესელიას კომპრომისი, ელოდებით კომპრომისულ ნაბიჯებს მეორე მხრიდანაც?***

– შანსები 50/50-ზეა. ყველა აკვირდება, თუ რამდენად ფართო საზოგადოებრივი რეზონანსი ექნება ამ მოსამართლეთა თემას. გარკვეული რეზონანსი უკვე აქვს, მაგრამ ეს არ არის იმდენად ფართო რეზონანსი, რომელიც ხალხის კრიტიკულ მასას ქუჩაში გამოიყვანს.

გასათვალისწინებელია მეორე ფაქტორიც. რა პოზიციებია პარტიის შიგნით. არასამთავრობოების პოზიციები როგორი იქნება.

იმ 10 მოსამართლის სიაში არიან ისეთი მოსამართლეები, რომლებიც არ უნდა იყვნენ უზენაეს სასამართლოში იმ მიზეზების გამო, რაზეც საზოგადოება, იურისტები თუ სამოქალაქო სექტორი საუბრობს. მაგრამ არიან მოსამართლეები, რომელთა უკანაც არ იკითხება რაღაც მძიმე გადაცდომები და დანაშაულები. ვნახოთ, როგორ განვითარდება პროცესები. დღეს, მე მგონი, პოზიციების შეჯერება მიმდინარეობს.

ბიძინა ივანიშვილი ერთგვარი არბიტრის როლში გამოდის, მიაღწიოს ისეთ მდგომარეობას, რომ უზენაესი სასამართლო ისეთი კანდიდატურებით დააკომპლექტოს, სადაც არც ერთი მხარე წაგებულად არ იგრძნობს თავს. მეორე მხრივ, უნდა ჩააცხროს დაპირისპირება გუნდში და შეინარჩუნოს საპარლამენტო და საკონსტიტუციო უმრავლესობა.

საკონსტიტუციო უმრავლესობის დაშლა იქნება იმის ნიშანი, რომ პარტია მიდის როტაციის მიმართულებით და ეს მომდევნო არჩევნებისას „ოცნებისთვის“ არასასურველი ტენდენცია იქნებოდა. ამიტომაც დიდი ძალისხმევა იქნებოდა დახარჯული, რომ როგორმე ხელოვნური ერთიანობა შენარჩუნდეს.

***– მოსამართლეების თემაზე ივანიშვილმა თავისი პოზიცია არ უნდა გამოხატოს და თქვას, უჭერს თუ არა მხარს კანდიდატებს?***

– არა მგონია, რომ ივანიშვილმა თავის პოზიცია გამოხატოს, მაგრამ, თუ ივანიშვილს მოუწევს განმარტების გაკეთება, მან განმარტებები უნდა გააკეთოს საზოგადოებისთვის – რატომ გადაწყვიტა, რომ სააკაშვილის დროინდელი მოსამართლეებისთვის მიეცა კიდევ ერთი შანსი, რომ მათ საკუთარი თავის რეაბილიტაცია მოეხდინათ. როგორც ეს მოხდა იგივე მურუსიძის შემთხვევაში.

ის, რომ იუსტიციის საბჭოს საქმიანობაში პოლიტიკოსი ჩაერიოს, ეს ნამდვილად არ იქნება დემოკრატიული და კონსტიტუციის წინააღმდეგ წასვლაც იქნებოდა. იუსტიციის საბჭო დამოუკიდებელი სტრუქტურაა და ისე არ უნდა გამოვიდეს, რომ „ნაბან წყალს ბავშვი გადაყვეს“.

ისეთი შთაბეჭდილება არ უნდა შეიქმნას, რომ პოლიტიკური ხელისუფლება სასამართლოს პრეროგატივასა და კომპეტენციაში იჭრება.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ნაზი ჯანეზაშვილი: „მიქაუტაძის არ მჯერა, მათ არაერთხელ მოგვატყუეს“

## „კარგია, მოსამართლეთა სიის შეჩერებას რომ მივაღწიეთ“

ნათია ხურცილავა

იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი **ნაზი ჯანეზაშვილი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში საუბრობს იმ კრიტერიუმებზე, რომლებიც მან და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კიდევ ერთმა არამოსამართლე წევრმა ანა დოლიძემ მოამზადეს.

***– ქალბატონო ნაზი, რას ითვალისწინებს თქვენი წინადადება?***

– ჩვენი საკანონმდებლო წინადადება რამდენიმე ძირითად პრინციპს ითვალისწინებს. საუბარია ახალი კადრების სისტემაში შემოსვლაზე, რათა ისევ ჩინჩალაძე, გვრიტიშვილი, მიქაუტაძე არ გახდნენ უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები.

ჩვენ მიერ მომზადებული პროექტის მიხედვით, უნდა ჩატარდეს ღია კონკურსი. კონკურსში მონაწილეობის უფლება უნდა ჰქონდეს ყველა დაინტერესებულ და კვალიფიციურ კადრს.

მეორე – აუცილებლად უნდა შეიქმნას ფილტრის მექანიზმი, რაც ნიშნავს საკონსულტაციო ჯგუფის შექმნას, რომელიც მთელი კონკურსის პროცესში უნდა იყოს ჩართული. ამ ჯგუფმა უნდა წარუდგინოს დასკვნა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს. საკონსულტაციო ჯგუფში უნდა შევიდეს სახალხო დამცველის მიერ დანიშნული ორი პირი, ასევე ამ ჯგუფში სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლებიც უნდა იყვნენ ჩართული. დეტალურად არის ეს ყველაფერი ჩვენს წინადადებაში გაწერილი.

მესამე – უნდა შეიზღუდოს ინტერესთა კონფლიქტის მექანიზმები ანუ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები თავად არ უნდა იყვნენ კანდიდატები, რადგან ეს არის ინტერესთა ცალსახა კონფლიქტი. საუბარია იმ პერიოდზე, ვიდრე ისინი საბჭოს წარმოადგენდნენ. ამიტომ, ამ პროცესს ნდობა უნდა უნდა ჰქონდეს. შემდეგ, სადაც უნდათ, იქ იყარონ კენჭი.

მეოთხე – გადაწყვეტილება საბჭომ კონსენსუსის გზით უნდა მიიღოს. გვაქვს შემთხვევები, როდესაც საბჭოს სრული მხარდაჭერით, მათ შორის, ჩემი და ანა დოლიძის მხარდაჭერითაც, მოსამართლეები დაინიშნენ სხვადასხვა რაიონულ და სააპელაციო სასამართლოებში.

თუკი გვქონდა ასეთი მაგალითები, როდესაც რაიონში ვნიშნავდით მოსამართლეებს ასეთი სრული მხარდაჭერით, რატომ არ უნდა შევარჩიოთ კანდიდატები, მაგალითად, უზენაეს სასამართლოში მოსამართლედ დასანიშნად ასეთივე კონსენსუსით?!

ასეთი თანხმობა და კონსენსუსი წევრებს შორის მიღწეული უნდა იყოს ღია სხდომაზე, სადაც ყველა თავის აზრს გამოთქვამს ამა თუ იმ კანდიდატზე. ეს იქნება სწორი ფორმა და სწორედ ეს გზა მოგვცემს შესაძლებლობას, კარგი კანდიდატურები შევარჩიოთ და წარვუდგინოთ პარლამენტს.

***– ახლა ეს პროცესი შეჩერებულია პარლამენტში, თუმცა, არ არსებობს მექანიზმი, რითაც ამ სიის უკან გამოწვევა მოხდება.***

– დიახ, ახლა პარლამენტმა ეს პროცესი შეაჩერა, რაც არის ძალიან კარგი. მართალია, ამ სიის უკან გაწვევის მექანიზმი არ არსებობს, მაგრამ შედეგობრივად არის იგივე. კენჭისყრაზე ეს კანდიდატები აღარ იქნებიან წარდგენილნი. გაწვევით მოხდებოდა ეს თუ ახალი მექანიზმის დაანონსებით, ახლა ამას მნიშვნელობა არ აქვს.

ახლა პროცედურებზე დაიწყება მუშაობა, მაგრამ აქ არის ძალიან დიდი სიფრთხილე ჩვენი მხრიდან საჭირო, რომ ისეთი პროცედურები არ შეიმუშაონ, რომ ისევ ეს ხალხი მოხვდეს სიაში და კვლავ ისინი გახდნენ კანდიდატები. ანუ კარი ჩავუკეტოთ, მაგრამ ფანჯრიდან შემოვიდნენ. სწორედ ამიტომ წარვადგენთ ჩვენს საკანონმდებლო წინადადებასაც.

***– უკვე დაარეგისტრირეთ?***



– დიახ.

***– ბატონი მიქაუტაძე თქვენს ამ ინიციატივაზე ამბობს, რომ უნდა დაკონკრეტდეს, თუ რას გულისხმობს კონკურსი და რომ ეს კონკრეტულ ადამიანებზეა მორგებული. რას უპასუხებთ?***

– რა სისულელეა! მისი ეს ზოგადი განცხადებები არანაირ შინაარსს არ ატარებს. ვაკონკრეტებ: კონკურსში მონაწილეობა უნდა მიიღონ იურისტებმა, რომელთაც შესაბამისი კვალიფიკაცია აქვთ, მათ შორის გამოცდილმა ადვოკატებმა, მოსამართლეებმა, მაგრამ კარგი პროფესიული რეპუტაციის მქონემ და არა ისეთმა, როგორიც ჩინჩალაძეა.

ჩვენი ინიციატივა არის კონკრეტული, მაგრამ კონკრეტულად მორგებული კვალიფიციურ კადრებზე და არა – ვიღაც კერძო პირებზე, როგორც თავად აკეთებდნენ აქამდე. კერძო პირებს ჩვენ საკანონმდებლო პროექტებს ვიწრო ინტერესებიდან გამომდინარე არ ვარგებთ, როგორც თვითონ. ასეთი რამ არ ყოფილა და ვერც ერთ შემთხვევას ვერ დაასახელებს. ჩვენი მიზანია, სისტემაში კადრები გარედან შემოვიდნენ, ახალი სისხლი შემოვიდეს სასამართლო სისტემაში, რომ სისტემა გაჯანსაღდეს, ამაზეა საუბარი.

***– იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ამ ჯგუფსაც აქვს ალტერნატიული წინადადება. ამაზე მიქაუტაძე საუბრობს. რას იტყვით?***

– მე არ მჯერა, რომ მათ რამე აქვთ შემუშავებული.

***– რატომ?***

– არ გვინახავს. 17 დეკემბერს წარვადგინე მე ეს პროექტი საბჭოს სხდომაზე, რომ რეგლამენტში შეგვეტანა ცვლილება და კონკურსი გამოგვეცხადებინა. მაშინ გვითხრეს, ცოტა ხანში ჩვენს პროექტსაც წარმოვადგენთო, მაგრამ პირდაპირ გვარები წარმოგვიდგინეს. ამიტომ, მე ამ ხალხის არ მჯერა, თუ რამე აქვთ, ისევ ჩინჩალაძეს მოარგებენ.

ამ ხალხის მიმართ ნდობა დაკარგულია, მიქაუტაძემ გვითხრა, რომ პროცესი ღია და გამჭვირვალე იქნებოდა, მაგრამ როგორი ღია იყო, უკვე ვნახეთ. პროცესი საერთოდ არ წარმართულა, ისე შედგა ჩუმად სია. მათ არაერთხელ მოგვატყუეს.

***– როგორი განწყობა გაქვთ, გავა ეს სია თუ ვერ გავა, რაზე იქნება ეს დამოკიდებული?***

– პირველ რიგში ძალიან ყურადღებით უნდა ვიყოთ, რომ იგივე ხალხი არ გავიდეს. არ უნდა შემოგვაპარონ კლანის მიერ შერჩეული კადრები. ვნახოთ, როგორ მოწოდების სიმაღლეზე იქნება პარლამენტი. ამ ეტაპისთვის რაც გვჭირდებოდა, ეს მიღწეულია, სია შეჩერებულია. ახლა მეორე ეტაპი იწყება. ვნახოთ, რა იქნება.

# ლევან ხაბეიშვილი: „კირკიტაძე სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო, მაგრამ გახარია-ივანიშვილის ტყვეობაში რჩება“

შორენა მარსაგიშვილი

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი დავით კირკიტაძე სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო. ამის მიუხედავად, ის პატიმრობაში რჩება.

დავით კირკიტაძე სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც გამოძიება მას გუბერნატორობის დროს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას ედავებოდა, სასამართლომ გაამართლა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლე გიორგი დარახველიძემ გამოაცხადა. მას აღკვეთის ღონისძიება გირაოც გაუუქმდა



დავით კირკიტაძის მიმართ გამოძიება სხვა სისხლის სამართლის საქმეზეც მიმდინარეობს. მას ბრალი კახეთის პოლიციის დეპარტამენტში 19 დეკემბერს წარუდგინეს.

ნაცმოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას ედავება, ველისციხეში 16 დეკემბერს გამართულ აქციაზე პოლიციელზე თავდასხმისთვის, ფიზიკური შეურაცხყოფისა და ქონების დაზიანებისთვის. აღნიშნულ საქმეზე კირკიტაძეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა აქვს შეფარდებული.

ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ლევან ხაბეიშვილი დარწმუნებულია, რომ 12 თებერვალს კირკიტაძე საპატიმროს დატოვებს. მისი აზრით, ნაცმოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს დანაშაული არ ჩაუდენია და ის გახარია-ივანიშვილის ტყვეა.

რატომ დააქვეითეს კირკიტაძის საქმის მოსამართლე, რა შედეგით დასრულდება 12 თებერვალს ჩანიშნული სასამართლოს სხდომა – ამის შესახებ ლევან ხაბეიშვილი „ახალ თაობას“ ესაუბრება.

**ლევან ხაბეიშვილი:**

– დავით კირკიტაძე რომ პოლიტიკური პატიმარია, ამის შესახებ არაერთხელ თქმულა. მეორე ამბავი ისაა, რომ წინასწარი პატიმრობა ბრალის დადასტურებამდე დადგა იმიტომ, რომ იმ საქმეში, რაშიც 14 იანვარს გამართლდა, იყო გირაოს ქვეშ.

14 იანვარს კირკიტაძე იმ ძველ საქმეში თავიდან ბოლომდე გამართლდა. ის მოსამართლე დარახველიძემ გაამართლა. ამ მოსამართლესთან დაკავშირებით ერთი რაღაც აუცილებლად უნდა ვთქვა.

დათოს საქმე წლებია მიმდინარეობს და მას დარახველიძე განიხილავდა,

რომელიც ქოცებში ნდობით აღარ სარგებლობს და ის უკვე ჩამოლაბორანტებულია.

***– რატომ არის ჩამოლაბორანტებული?***

– ის ხელისუფლების დავალებებს ბრმად არ ასრულებს და ამიტომ საქალაქო სასამართლოდან ადმინისტრაციულში გადაიყვანეს. ამ წესიერმა მოსამართლემ გამოიტანა ის განაჩენი, რაც უნდა გამოეტანა.

დათოს წინააღმდეგ როცა პირველი საქმე აღძრეს, ის საქართველოში არ იმყოფებოდა. ქოცებს ეგონათ, რომ ის დაიმალებოდა. კირკიტაძე საქართველოში ჩამოვიდა და უკვე მისი თანდასწრებით გაგრძელდა საქმის განხილვა.

დათო ამ საქმეში გამართლდა. მას გირაოც მოუხსნეს და ახლა „ოცნებას“ პატიმრობაში მის დასატოვებლად არანაირი არგუმენტი აღარ ექნება. დარწმუნებული ვარ, 12 თებერვალს დათო საპატიმროს დატოვებს.

***– დარწმუნებული რატომ ხართ?***

– იმიტომ, რომ დათო უდანაშაულოა და თანაც არგუმენტი აღარ აქვთ, თუ რატომ უნდა დარჩეს ის პატიმრობაში.

არც ის გამიკვირდება, რომ კირკიტაძეს რამე მოუმიზეზონ. ჩვენი თანამებრძოლი დღეს გახარია-ივანიშვილის პირადი ტყვეა.

იგივე საქმეებზე, რაზეც ახლა დათო პატიმრობაშია, სხვა ადამიანები ქუჩაში დადიან.

ზაზა სარალიძეს არაფერს ვერჩი და პირიქით, აღშფოთებული ვარ, მის წინააღმდეგ საქმე რომ აღძრეს. წარმოიდგინეთ, რა მოხდებოდა, ნაციონალების დროს ვაზაგაშვილის, რობაქიძის და გირგვლიანის მშობლების წინააღმდეგ საქმე რომ აღეძრათ. ამათ ისე კიდიათ ყველაფერი, რომ შვილმოკლული მამის წინააღმდეგაც კი აღძრეს საქმე.

მის მიმართ საქმე იმავე მუხლით არის აღძრული, რომლითაც დავით კირკიტაძეზე. ამ შემთხვევაში ზაზა თავისუფალია, დათო ციხეშია.

თავად დათოს დაკავებაც იყო პოლიტიკური აქტი. აქედან გამომდინარე მჯერა, რომ 12 თებერვალს დათოს გამოუშვებენ. მისი ციხიდან გამოშვებაც პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნება. ამ კაცს ისეთი არაფერი დაუშავებია, რომ საპატიმროში იყოს.

ის თუ ციხეშია, მაშინ რატომ არის თავისუფალი ოთარ ფარცხალაძე. მან ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა აუდიტის სამსახურის უფროსს. ყოფილმა მთავარმა პროკურორმა ლაშა თორდიას აუდიტის სამსახურის მიერ დაწერილი დასკვნის გამო სცემა.

ამაზე ფარცხალაძე ერთი წამითაც არ ჩაუსვიათ ციხეში. მას გირაო შეუფარდეს და გაუშვეს.

***– ფარცხალაძე სხვა დონეა. გაუშვებდნენ, აბა რას იზამდნენ.***

– მეც მაგას ვამბობ, რომ განსხვავებული მიდგომებია. პოლიციელისთვის თავში ჩარტყმისთვის „ოცნება“ მელორ ვაჩნაძეს 100 ლარიან ჯარიმას უწესებდა ხოლმე. ახლა ვაჩნაძეც გაემიჯნა ხელისუფლებას. გაქცეულია და დევნილი ვარო, იძახის.

მისგან და ფარცხალაძისგან განსხვავებით, დავით კირკიტაძეს არც პოლიციელი უცემია და არც ხელისუფლების სხვა წარმომადგენელი. ის არც პოლიციის ავტობუსში შევარდნილა. ის ავტობუსი, რომელშიც დათო შეძვრა, პოლიციის არ იყო.

პოლიციის თუ იყო, მასზე უნდა ყოფილიყო აღნიშვნა. ეს პირდაპირ წერია კანონში. ამ ავტობუსზე კი არანაირი ნიშანი არ იყო. კირკიტაძე ავტობუსში მხოლოდ იმიტომ შევიდა, რომ მანქანა გადაეყენებინა. შსს-მ იმ ავტობუსით ჩაგვიხერგა გზა.

ხელისუფლებამ იმაზე გაგვცეს პასუხი, რატომ შეუზღუდა რამდენიმე ათას ადამიანს გადაადგილების უფლება. მათი წყალობით, ერთი ქალი კინაღამ დაიღუპა – იმის გამო, რომ ხელისუფლებას გზა ჰქონდა ჩაკეტილი, სასწრაფო ცუდად მყოფ ადამიანთან ვერ მივიდა.

# სამხარაულის ექსპერტიზის ბიურომ „გურამიშვილის“ მეტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტი დაიწუნა

უახლოეს პერიოდში თბილისში რამდენიმე მეტროსადგურის რეაბილიტაცია დაიწყება, მათ შორის „გურამიშვილის“, „გოცირიძის“ და „ვარკეთილის“. როგორც „კომერსანტთან“ საუბრისას თბილისის სატრანსპორტო სამსახურის დირექტორის მოადგილემ, მთავარმა ინჟინერმა გიორგი ტალახაძემ განაცხადა, ამ ეტაპზე უცნობია აღნიშნული მეტროსადგურების სამშენებლო სამუშაოების დაწყების და დასრულების ვადები.

როგორც ცნობილია, „გურამიშვილის“ მეტროსადგურის რეაბილიტაცია გასულ წელს დაიწყო, თუმცა მალევე შეჩერდა და არსებული პროექტი სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს გადაეგზავნა.

– პროექტის ტექნიკური შეფასება მოხდა და სამხარაულის ექსპერტიზამ ძველ პროექტში კონსტრუქციული ნაწილი პროფესიული შეფასებით დაიწუნა, სამშენებლო პროექტის მომზადება ხელახლა მოხდება, – განუცხადა „კომერსანტს“ გიორგი ტალახაძემ.

სატრანსპორტო სამსახურის დირექტორის მოადგილის ინფორმაციით, მეტროსადგურის რეაბილიტაციისთვის კვლევითი სამუშაოები ხელახლა დაიწყო და როგორც კი კვლევა დასრულდება, ახალი პროექტიც მომზადდება. მისი თქმით, 2019 წლის პირველ კვარტალში საპროექტო ტენდერი გამოცხადდება და სატენდერო კომპანიის გამოვლენის შემდგომ სამშენებლო სამუშაოებიც დაიწყება. რაც შეეხება სპეციალურად მშენებლობისთვის გამოყოფილ თანხებს, მისი ოდენობის დაზუსტება ბაზრის კვლევის შემდგომ მოხდება.

მეტროსადგური „გურამიშვილი“ 2018 წლის 15 მარტს უნდა გახსნილიყო, თუმცა მისი გახსნის თარიღმა დამატებითი ექსპერტიზის ჩატარების გამო გადაიწია, რომლის დასრულებამდე, მეტროსადგურ-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# მამუკა ბახტაძე სკანდალში გაეხვია

## რატომ მიულოცა პრემიერმა ტრისტან წითელაშვილს ახალი წელი

შორენა მარსაგიშვილი

ერთ დროს ნაციონალების დამფინანსებელი და ახლა ქვეყნის პრემიერი მამუკა ბახტაძე შარშია გახვეული. ოპოზიცია მისგან საახალწლო მილოცვის გამო ითხოვს განმარტებებს.

მთავრობის მეთაურმა ახალი წელი გამორჩეულ თანამემამულეებს მიულოცა. სხვებთან ერთად მას ახალი წელი ყოფილი პოლიტპატიმრის, ტრისტან წითელაშვილისთვისაც შემოელოცა. ოპოზიციამაც ამის გამო გაუხურა პრემიერ-მინისტრს.

„ევროპული საქართველო“ მამუკა ბახტაძისგან ახსნა-განმარტებებს ითხოვს. მათი თქმით, დაუშვებელია, როცა ქვეყნის პრემიერი ჯაშუშობისთვის გასამართლებულ პირს ახალ წელს ულოცავს.

თავად ტრისტან წითელაშვილი მთავრობის მეთაურის მილოცვით კმაყოფილია. ამბობს, რომ მას ქვეყნის წინაშე იმდენი დამსახურება აქვს, რომ ხელისუფლებისგან ახალი წლის მილოცვა ეკუთვნის.

რატომ გამწარდა ბოკერიას გუნდი მისთვის ახალი წლის მილოცვაზე, იყო თუ არა ჯაშუში, რაში ამხილა ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები? – ამის შესახებ **ტრისტან წითელაშვილი** „ახალ თაობას“ ესაუბრება.

***– პრემიერმა მამუკა ბახტაძემ თქვენ ახალი წელი მოგილოცათ, რასაც დიდი ალიაქოთი მოჰყვა. რატომ მოგილოცათ მთავრობის მეთაურმა ახალი წელი?***

– მამუკა ბახტაძის მილოცვამ ძალიან გამახარა. მე ამ ქვეყნის წინაშე დამსახურება მაქვს და ამიტომაც მომილოცა მთავრობის მეთაურმა ახალი წელი, ჩემ გარდა, მან სხვა დამსახურებულ ადამიანებსაც მიულოცა.

***– მამუკა ბახტაძეს პირადად არ იცნობთ?***

– პირადად არ ვიცნობ. მასთან შეხვედრილიც კი არა ვარ.

***– თუ არ იცნობთ, რანაირად მოგილოცათ? არ გაგიკვირდათ?***

– არ გამკვირვებია. ჩემი ქვეყნისთვის რაღაც მაქვს გაკეთებული და ეს დამიფასა მილოცვით პრემიერმა. ეს ასეც უნდა იყოს. მთავრობა ყველა დამსახურებულ ადამიანს უნდა ულოცავდეს.

მთავრობისგან მილოცვა განსაკუთრებით იმ ხალხს ეკუთვნის, ვინც თავისი ქვეყნისთვის იბრძოდა. ნორმალურ ქვეყნებში ასე ხდება. იქ არავის არ მოუვა თავში აზრად, პრემიერს კითხვა დაუსვას – ამა თუ იმ პირს რატომ მიულოცე ახალი წელიო.

***– თქვენთვის გამოგზავნილ მილოცვაზე ოპოზიციას საკმაოდ მძიმე რეაქცია ჰქონდა – ის პრემიერისგან განმარტებებს ითხოვს. ამ რეაქციას რითი ხსნით?***




– ეს მილოცვა პირველ რიგში „ევროპულმა საქართველომ“ ვერ გაითავისა. მათ ჩემთან მიმართებაში ისედაც ჰქონდათ პრეტენზიები. ყოველთვის ღიად ვსაუბრობდი იმ ანტისახელმწიფოებრივ ქმედებებზე, რასაც ამ ძალის წარმომადგენლები სჩადიოდნენ.

ასე რომ, არ მიკვირს „ევროპული საქართველოს“ გაცხარება. ის უფრო გამიკვირდებოდა, მათ რეაქცია რომ არ ჰქონოდათ.

***– ასე ძალიან რატომ ვერ იტანთ თქვენ და გიგა ბოკერიას ფლანგი ერთმანეთს? დანარჩენ ნაციონალებსაც არ ეხატებით გულზე, მაგრამ „ევროპული საქართველო“ გამოკვეთილად გმტრობთ.***

– ბოკერიას და მის თანამოაზრეებს საკმარისი მიზეზი აქვთ საიმისოდ, რომ ვერ მიტანდნენ. 2008 წელს ეს ადამიანი სერიოზულ დანაშაულში ვამხილე. ამასთან დაკავშირებით არაერთი განცხადება მაქვს გაკეთებული.

რაკი ჩემთან დაკავშირებით ასეთი ამბავი ატეხა „ევროპულმა საქართველომ“, კიდევ ერთხელ გავიმეორებ, თუ რა საშინელების ჩადენას აპირებდა მათი ლიდერი.

2008 წლის აგვისტოს ომში მეც ვმონაწილეობდი. 8 აგვისტოს შემთხვევით შევესწარი გორში გამართულ საიდუმლო თათბირს. კარი ოდნავ ღია იყო და მოვისმინე, თუ რას ამბობდა ბოკერია.

ჩემი ყურით მოვისმინე, როგორ ითხოვდა ბოკერია საომარი მოქმედებების დროს კონფლიქტის ზონაში მშვიდობიანი მოსახლეობის ჩატოვებას. მისი აზრით, რაც მეტი მშვიდობიანი მოქალაქე დაიღუპებოდა, რუსეთს უფრო გაუტყდებოდა სახელი.

### ტრისტან წითელაშვილი: „ბოკერიას უნდა ჩემგან ჯეიმს ბონდზე კიდევ უფრო ჯეიმს ბონდი შექმნას“

ამის შესახებ ხმამაღლა განვაცხადე. ეს ბოკერიას არ ესიამოვნა და გადამემტერა. ახლა უკვე პრემიერს უყენებს პრეტენზიას და იმის უფლებასაც კი უზღუდავს, რომ ახალი წელი მომილოცოს.

***– თქვენი აზრით, გახვევს ბოკერია ბახტაძეს შარში?***

– რა შარში უნდა გახვიოს. მამუკა ბახტაძემ გააკეთა ის, რაც უნდა გაეკეთებინა. მე ამ ქვეყნისთვის ნაბრძოლი მაქვს და ამიტომ მომილოცა ახალი წელი. ბოკერია ვინაა, რომ პრემიერს მითითებები მისცეს. დამნაშავე თუ ვარ და ჩემ შესახებ აქვს ინფორმაციები, პროკურატურას და შსს-ს მიმართოს.

***– „ევროპული საქართველო“ ამბობს, რომ მილოცვა არ გეკუთვნით, რადგან ჯაშუშობის ბრალდებით ხართ გასამართლებული.***

– ვინაა ჯაშუშობისთვის გასამართლებული? ეგ არის ზღაპარი. სულ სხვა რამეზე ვარ გასამართლებული. რაზე ვარ გასამართლებული, ამის თაობაზე ხმამაღლა მისაუბრია. სასამართლოს გადაწყვეტილებაც მაქვს გასაჯაროებული.

***– რისთვის ხართ გასამართლებული?***

– მე არც ჯაშუშობისთვის და არც სამშობლოს ღალატისთვის არ გავუსამართლებივარ. მე გამასამართლეს ნარკოტიკების შეძენა-შენახვის მუხლით.

***– ნარკოტიკებს მოიხმარდით?***

– ნარკოტიკები ჩამიდეს და ასე გამასამართლეს. მანამდე ორი დღე ვიყავი გატაცებული.

***– ვინ გაგიტაცათ?***

– მაშინდელმა ხელისუფლებამ.

***– რატომ მოხდა თქვენი გატაცება?***

– სააკაშვილს უნდოდა სპექტაკლის დადგმა.

***– რა სპექტაკლის?***

– თითქოს ჩვენ ვაპირებდით სახელმწიფო გადატრიალებას.

***– ვინ თქვენ?***

– მე, რამდენიმე სამხედრო და პოლიტიკოსები. მთხოვდნენ, რომ რამდენიმე ოპოზიციონერი ლიდერისთვის დამედო ხელი.

***– ვისთვის უნდა დაგედოთ ხელი?***

– ირაკლი ბათიაშვილისთვის, გოგა ხაინდრავასთვის. მთხოვდნენ ემზარ კვიციანის გვარის დასახელებას.

***– ეს ამბავი როდის მოხდა?***

– 2008 წლის 26 აგვისტოს მოხდა ჩემი გატაცება.

***– მაგ დროს ემზარ კვიციანი ხომ საქართველოდან გაქცეული იყო?***

– ორი წლის წასული იყო.

***– გადატრიალების სცენარში როგორ უნდა ჩამჯდარიყო?***

– თითქოს რუსეთიდან შემოგვიერთდებოდა. სცენარი ასეთი იყო – ვითომ მე განაწყენებულ სამხედროებთან ერთად გორიდან წამოვიდოდი თბილისში ხელისუფლების დასამხობად. თბილისში ოპოზიციონერი ლიდერები შემოგვიერთდებოდნენ. ემზარი კი რუსეთიდან შემოვიდოდა.

ეს ჩვენება უკვე დაწერილი ჰქონდათ. ჩემი მოვალეობა იყო, მისთვის ხელი მომეწერა და ეს ტექსტი ვიდეოკამერებთან წამეკითხა.

***– ამის გაკეთებას ვინ გთხოვდათ?***

– უშუალოდ მიხეილ სააკაშვილი და ვანო მერაბიშვილი. ისინი კონტრდაზვერვის სამმართველოში დათა ახალაიას პირით მესაუბრებოდნენ. ორი დღის მანძილზე ამ თემაზე მაკაჩავებდნენ.

მე მათ მოთხოვნას არ დავთანხმდი. ვითომ შემეშვნენ. ამასობაში წყალი დავლიე. წყალში ნარკოტიკები იყო გაზავებული და ასე გამასამართლეს ნარკოტიკების შეძენა-მოხმარებაზე.

ეს საქმე მე სტრასბურამდე წავიღე. ჩემი საქმე ცნობილმა უფლებადამცველმა თომას ჰამერბერგმაც განიხილა.

ყველამ ძალიან კარგად იცის, რომ მე ჯაშუში არა ვარ. ეს „ევროპულმა საქართველომაც“ კარგად იცის, მაგრამ სპეციალურად კივიან. უნდათ, ჩემგან ჯეიმს ბონდზე კიდევ უფრო ჯეიმს ბონდი შექმნან.

# მეუფე პეტრეს, შეიძლება, სინოდი დაატოვებინონ?

– ყველაფერი ღვთის ნებაა, ყველაფრისთვის მზად ვარ, – ასე პასუხობს ჭყონდიდის მთავარეპისკოპოსი მეუფე პეტრე კითხვას, შესაძლებელია თუ არა, რომ მისი ხმაურიანი განცხადებების გამო, მას სინოდი დაატოვებინონ.

„ტვ პირველთან“ ინტერვიუში მეუფე ამბობს, რომ აუცილებელია როგორც ერში, ისე ეკლესიაში კანონის უზენაესობა იქნეს დაცული – „ან უნდა მივიღოთ ახალი კანონები და იყოს კანონის უზენაესობა, ან აუცილებლად მივდივართ არეულობამდე“. მეუფე ამბობს, რომ აუცილებელია კანონიკური სამართლის უზენაესობა:

– სინოდიდან სინოდამდე კათოლიკოს პატრიარქი მართავს ეკლესიას დებულების თანახმად და სინოდი, რომელიც ჩვენ ვხედავთ, რომ წელიწადში ორჯერ, მხოლოდ 2-3 საათით იკრიბება, მე მიმაჩნია, როცა ამდენი პასუხგაუცემელი შეკითხვებია, სინოდის სხდომები დღეები, კვირები უნდა გრძელდებოდეს, სანამ არ ამოვწურავთ ამ კითხვებს. არ უნდა დამთავრდეს კრება ისე, რომ ვინმეს დარჩეს სათქმელი. მით უმეტეს, ასეთ ინტერესს რომ იწვევს, როგორც ციანიდის საქმე, – განაცხადა მეუფე პეტრემ.

* * *

– აბსოლუტურად ცივი გონებით ვთქვი ის, რაც ვთქვი – აცხადებს ჭყონდიდის მიტროპოლიტი მეუფე პეტრე მის მიერ გაკეთებული სკანდალური განცხადების კომენტირებისას.

საქმე ეხება სინოდის ბოლო სხდომის შემდეგ გაკეთებულ განცხადებას, სადაც მეუფე პეტრემ თქვა, რომ „საბოლოოდ დაიმსხვრა მითი პატრიარქის მწყემსი კეთილობის შესახებ“.

მეუფე პეტრე „ტვ პირველთან“ ინტერვიუში განმარტავს, რომ სინოდის ბოლო სხდომაზე დაფიქსირებული პოზიციის გამო მას უსამართლობის განცდა დაეუფლა.

– თანმიმდევრულად, ეტაპობრივად მივედი ამ დასკვნამდე, რომ ეს მითი ჩემთვის პირადად აღარ არსებობს... – ამბობს მეფე პეტრე და „ციანიდის საქმის“ დეტალებს იხსენებს, როდესაც პირველად გახდა ცნობილი, რომ დაკავებული იყო სასულიერო პირი.



– როდესაც გავერკვიე ამ საქმეში, აღმოჩნდა, რომ მამაო ნამდვილად არის მსხვერპლი ცილისწამების და როდესაც მე ვერაგულ პოლიტიკას შევხვდი და დავინახე ხელისუფლებს მხრიდან, რა თქმა უნდა, იქ თანამონაწილეობა იკვეთება ეკლესიისა და სასულიერო პირების, საპატრიარქოს რაღაც ჯგუფის მხრიდან, – ამბობს მეუფე.

მისივე თქმით, მას არ სჯერა მოსაზრების „პატრიარქმა რაღაც არ იცის“. არგუმენტად კი ის მოჰყავს, რომ პატრიარქს დეკანოზ მამალაძის დაკავების შესახებ სწორედ ოპერაციის წინ აცნობეს:

– კიდევ ერთი მითი უნდა დაიმსხვრეს, ადრე, როდესაც მეც გულუბრყვილოდ ძალიან ხშირად მინდოდა დამეჯერებინა, რომ პატრიარქმა თითქოს რაღაც არ იცის, არ არის ბოლომდე ინფორმირებული და ა.შ., მას შემდეგ, რაც უწმინდესს ციანიდის საქმესთან მიმართებაში საბედისწერო ოპერაციაზე შესვლამდე უთხრეს, რომ დაკავებულია დეკანოზი მამალაძე, რომელიც თქვენ მოსაკლავად მოდიოდა, მაშინ როდესაც, პროკურატურას ფაქტიურად ბრალი ჰქონდა მდივან-რეფერენტზე წაყენებული, აი, ეს როცა უთხრეს პატრიარქს, უკვე მე ვერ დავიჯერებ, რომ მან რაღაც არ იცის, – განაცხადა მეფე პეტრემ.

ჭყონდიდელი მიტროპოლიტი მორიგ სკანდალურ განცხადებასაც აკეთებს და ამბობს, რომ მას უთხრეს, თითქოს პატრიარქს სჯერა, რომ ციანიდის საქმეში მისი ძმისშვილი, მეუფე დიმიტრიც იყო გარეული. ჭყონდიდის მიტროპოლიტი არ აკონკრეტებს, ვისთან შედგა ეს საუბარი, თუმცა აღნიშნავს, რომ ესენი იყვნენ სასულიერო პირები:

– ჩემთან, მაგალითად, იყო ერთ-ერთი ვიზიტი და მითხრეს, რომ პატრიარქს არ უნდა ამ თემაზე საუბარი იმიტომ, რომ მას სჯერა იმ ვერსიის, რომ მეუფე დიმიტრი იყო ამ საქმეში ჩარეული. წარმოგიდგენიათ, როგორი სიბინძურეა? მე ვუთხარი, რომ თუ ესეა, მაშინ მეუფე დიმიტრი რატომ არ უნდა გასამართლდეს? თუნდაც ეკლესიურად? მე, რა თქმა უნდა, ამას გამოვრიცხავ, მაგრამ ხვდებით, როგორი სიბინძურეა, როგორ ზეწოლასთან გვაქვს საქმე და როგორ ბინძურ მეთოდებს იყენებენ ამ საქმესთან მიმართებაში? – განაცხადა მეუფე პეტრემ.

მისივე თქმით, დეკანოზ გიორგი მამალაძეს თავისუფლების სანაცვლოდ „ენით გამოუთქმელი სიბინძურე შესთავაზეს“. მეუფე პეტრე ამბობს, რომ ეს ინფორმაცია მას თავად დეკანოზმა მამალაძემ მიაწოდა:

– უბრალოდ ამას ვერ ვიტყვი ვერაფრით და ღმერთმა ნუ გააგონოს საზოგადოებას, რა შესთავაზეს იმისათვის, რომ ის გამოსულიყო და განთავისუფლებულიყო... ეს იყო ძალიან დიდი უზნეობა, ეხებოდა ეკლესიას, – განაცხადა მეუფე პეტრემ „ტვ პირველთან“ ინტერვიუში.

* * *

ჭყონდიდის მიტროპოლიტი მეუფე პეტრე ამბობს, რომ უკრაინის ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭება დიდი მოვლენაა და ქართული ეკლესია სიმართლის მხარეს უნდა დადგეს.

– რა თქმა უნდა, სიფრთხილე საჭიროა, მაგრამ არანაირი წონადობა არ აქვს იმ არგუმენტებს, რომ ჩვენ არ დავდგეთ სიმართლის მხარეს და არ მივულოცოთ 50 მილიონიან ქვეყანას, რომელმაც ათწლეულები იბრძოლა, რომ ჰქონოდა დამოუკიდებელი ავტოკეფალური ეკლესია და მიაღწია ამას, – ამბობს მეუფე პეტრე და საქართველოს ეკლესიისთვის ავტოკეფალიის მინიჭების ხანგრძლივ და რთულ პროცესს იხსენებს. მისი თქმით, ამ ფონზე შეუძლებელია უკრაინის სიხარული არ გავიზიაროთ:

– მაშინ რუსეთის ეკლესიას უნდა მიემსგავსო, ღმერთმა დაგვიფაროს, რომელიც კაენის მდგომარეობაშია, ძმა რომ შურით მოკლა, როცა გშურს მისი წარმატება, – ამბობს მღვდელმთავარი.

მეუფე პეტრეს თქმით, საბოლოო ჯამში სიმართლე იზეიმებს და ჩვენ უსამართლობის მხარეს ვერ დავდგებით:

– ეს არის გარდაუვალი იმიტომ, რომ ეს არის სამართლიანობა, რომ უკრაინას აქვს, როგორც მას უკვე მოიხსენიებენ, უკრაინის უწმინდესი ეკლესია, ანუ დამოუკიდებელი, ავტოკეფალური ეკლესია, – ამბობს მეუფე პეტრე და რუსეთის სპეცსამსახურების გავლენას როგორც სხვა საკითხებში, ისე ქართულ ეკლესიაში, კიდევ ერთხელ ადასტურებს:

არის ეს გავლენები საქართველოზე ვხედავთ, სპეცსამსახურებში თუ ა. შ. სხვადასხვა საკითხებში, – განაცხადა მეუფე პეტრემ.

**პირველი რადიო**

# ბიძინა გუჯაბიძე: „ოცნებას“ ვთხოვ, გაუფრთხილდეს ივანიშვილის ავტორიტეტს“

გულიკო ბალაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს პარლამენტის ყოფილი წევრი **ბიძინა გუჯაბიძე** პასუხობს.

***– ბატონო ბიძინა, რა ხდება „ქართული ოცნების“ გუნდში, და რა არის ამ პროცესში დადებითი ან უარყოფითი?***

– ჩვეულებრივი პოლიტიკური ცხოვრებაა – ზოგს ასეთი მოსაზრება ექნება, ზოგს – ისეთი. იმედი მაქვს, ეს ყველაფერი დადუღდება და ჭეშმარიტებამდე მივალთ.

იმედი მაქვს, ორივე მხარე გაითვალისწინებს მდგომარეობას, ვითარების ესკალაციას ხელს არ შეუწყობს და არ დაუშვებს დაპირისპირებას.

იმის დათმობა, რომ წარსულში ცუდი რეპუტაციის მქონე მოსამართლეები კვლავ უვადოდ დაინიშნონ, არავის შეუძლია, არც ზნეობრივია და არც პოლიტიკურად არის სწორი. ამდენად, მე მგონი, მივლენ შესაბამის დასკვნამდე და საზოგადოების ინტერესებს გაითვალისწინებენ.

***– კალაძემ განაცხადა, რომ პარტიაში იმსჯელებენ ამ საკითხზე. უნდა ველოდოთ იმ პირების საკითხის განხილვას, ვისაც გუნდურობის პრინციპის დარღვევას აბრალებენ. ვოლსკიმ თქვა, ერთად რომ ველარ ვიქნებით, ჩანსო.***

– მე ეს ცოტა ნაჩქარევი დასკვნები მგონია. ვფიქრობ, აქ იმდენად გუნდურობის საკითხი კი არ არის, არამედ პრინციპების საკითხია. თუ პრინციპი უშლის გუნდურობას, მაშინ ეს გუნდი აღარ არის უკვე. ალბათ თვითონაც მივლენ გარკვეულ დასკვნამდე და თუ საშინელი დარღვევები არ არის, მათი გამონათქვამების უკან სხვა რაიმე თუ არ იმალება, შესაძლებელია შერიგდნენ და კვლავ გაგრძელდეს თანამშრომლობა.

***– კობახიძე ამბობს, რომ მოსამართლეთა სიის გაწვევა იურიდიულად შეუძლებელია, მაგრამ მიიღებენ კრიტერიუმებს, რომლებითაც შეუძლებელი იქნება იმ სიის დამტკიცება. როგორ შეიძლება წარიმართოს პროცესი?***

– მთავარია, რაზე შეთანხმდებიან, რა არის ამ კრიტერიუმების ამოსავალი. თუ ერთმა გუნდმა თქვა, რომ მოსამართლეს რაც უნდა ჰქონდეს ჩადენილი, მაინც არა უშავს და ერთ-ერთ პუნქტად ეს იქნა მიღებული, მაშინ რაღაზეა დავა? კრიტერიუმი უნდა იყოს მიღებული საზოგადოების მაღალი ინტერესებიდან გამომდინარე – მორალურ პრინციპებს, კანონს უნდა ექვემდებარებოდეს და არა იმას, ვის რა შეხედულება აქვს და როგორ უნდა წაიყვანოს პროცესი.

თუ იმ კრიტერიუმზე შეთანხმდნენ, რომ იმ მოსამართლეებზე თქვეს, ვისზეც საზოგადოებას პრეტენზია აქვს, კარგი კაცია და რა უჭირს, წარსულში რამე გადაცდომა თუ ჰქონდაო, მაშინ ეს უკვე ყოველგვარ ზღვარს სცდება.

***– თქვენ 2012 წლის პარლამენტის წევრი ბრძანდებოდით. სასამართლოს პირველი რეფორმა რომ ტარდებოდა, ვინ შემოგთავაზათ სააკაშვილის მოსამართლეების დატოვება და რეფორმის შემდეგ მათი ახალ პირობებში პორტირება?***

– ამის თაობაზე ბევრთან მისაუბრია. ბევრი ამბობდა, მოსამართლეები უნდა დავტოვოთ, არ უნდა შევეხოთ, თუ შევეხეთ, გამოიწვევს დემოკრატიის, მართლმსაჯულების რღვევას და ა.შ. მე ამას არ ვეთანხმები. ვამბობდი, რომ ჩვენი მეზობელი ქვეყნების, ან პარტნიორი ქვეყნის, ვთქვათ აშშ-ის გამოცდილება, პოსტულატები ბრმად არ უნდა გადმოვიტანოთ-მეთქი. ყველა ქვეყანას თავისი რეალობა აქვს.



უვადო მოსამართლეებად დანიშვნა იმ არგუმენტით, მოდი, ხელს ნუ ვახლებთ ძველებსო, ძალიან ცუდია. მოსამართლეების უვადოდ დანიშვნის პრინციპის გადმოღება შეიძლება, ოღონდ, გარკვეული საფეხურების გავლის შემდეგ.

***– ყველაზე დიდ აღშფოთებას ხალხში იწვევს ის, სააკაშვილის მორჩილი მოსამართლეები ახალ პირობებში უვადოდ რომ ინიშნებიან.***

– სწორედ ამას ვამბობ. პრინციპი, რომ უვადო მოსამართლედ დანიშვნის დროს მის წარსულს ყურადღება არ მივაქციოთ, საქართველოს განვითარების ამ ეტაპისთვის აბსურდია.

***– 2013 წელს მოსამართლეთა კორპუსის გადახალისება არ მოხდა, მაგრამ ახლა ამის გაკეთება მაინც მოუწევთ.***

– დიახ, ძალიან ბევრი კვალიფიციური იურისტია. მოიცადონ, ახლებს კვალიფიკაცია აუმაღლონ. უამრავი ადვოკატია. გადამზადება აუცილებელია. 6 თვის შემდეგ განიხილონ ეს ყველაფერი.

***– კანდიდატების შერჩევისთვის კონკურსის გამოცხადებაზეც იყო საუბარი.***

– კონკურსის გამოცხადება შეიძლება, ოღონდ იმ კონკურსისთვისაც კრიტერიუმების შემოღებაა საჭირო. ზოგი პირის განცხადებაც კი შეიძლება არ მიიღონ.

***– ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ განაცხადა, რომ სასამართლო ხელისუფლების საკითხი ის თემა არ არის, რაზეც რომელიმე პოლიტიკოსმა შეიძლება ქულები დაიწეროს. ვინმე ამ თემაზე ქულებს იწერს?***

– ალბათ ბესელიას გულისხმობს, მაგრამ აქ ქულის დაწერაზე მეტად ის არის მნიშვნელოვანი, რა მიმართულებით მიდის პარლამენტის საქმიანობა და სასამართლო რეფორმა რა დონეზეა.

***– ვინც უკვე უვადოდ დანიშნეს, მათი საკითხიც შეიძლება გადაიხედოს?***

– ალბათ, მურუსიძეს გულისხმობთ. საერთოდ, იურისპრუდენციაში კანონს უკუქცევის ძალა არ აქვს.

***– არის მოსაზრება, რომ თუ სააკაშვილს ჰყავდა მორჩილი მოსამართლეები, ამათაც უნდათ ჰყავდეთ მორჩილი მოსამართლეები და ამიტომ უნდათ ეს მოსამართლეები. ივანიშვილს რა ვალი აქვს ამ მოსამართლეების, რომ მათ გამო უნდა აიტანოს კრიტიკა?***

– როგორც ჩანს, ამ მოსამართლეებს იმ ნიშნით კი არ არჩევენ, რომ მორჩილები იქნებიან, არამედ იმ ნიშნით, რომ მათ იცნობენ, გარკვეული წრეებიდან შეხედულება აქვთ მათზე, გარკვეული სანაცნობო წრეებიდან და ჰგონიათ, რომ ესენი არიან უმაღლესი კლასის კრიტერიუმის დამაკმაყოფილებელი.

***– ბიძინა ივანიშვილმა ამ საკითხზე განცხადება გამოაქვეყნა, როგორ აფასებთ მის განცხადებას?***

– ბიძინა ივანიშვილის განცხადება მომეწონა. გარკვეულ ნიუანსებს შეიცავს, შეიძლება რაღაც უზუსტობა არის, კონკრეტულად საუბარი არ მინდა, მაგრამ მე უფრო სხვა რამეზე გავამახვილებ ყურადღებას – ორივე მხარეს მინდა ვთხოვო, გაუფრთხილდნენ ბიძინა ივანიშვილის ავტორიტეტს, ყველაფერში ხალხს მისკენ თითს ნუ გააშვერინებენ და ძალიან კარგად განვითარდება მოვლენები.

# თურქი ექსპერტები: „რუსეთს მთავარი საგარეო პრობლემები პოსტსაბჭოთა სივრცეში აქვს“

## პომპეო: „ახლო აღმოსავლეთში აუცილებელ მოქმედებებზე უარს არ ვიტყვით“

მარიამ მჭედლიშვილი

საქართველო მოქცეულია გლობალური დაპირისპირების არეალში. ახლო აღმოსავლეთი რჩება ცხელ წერტილად და გავლენისთვის უფრო გამძაფრებული ბრძოლის ადგილად იქცევა. საქართველოს საშინაო პოლიტიკაში მიმდინარე მთავარი მოვლენები დიდწილად განპირობებულია საგარეო მიზეზებით.

ჩვენს რეგიონში ვაშინგტონის პოზიციების მოსალოდნელ შესუსტებაზე ისევ განგაშია ატეხილი აშშ-ში.

ამავდროულად, ამ თემაზე საპირისპიროს ამტკიცებს აშშ-ის სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო.



მისი განცხადებით, სირიიდან ამერიკული სამხედრო კონტინგენტის გამოყვანა არ შეცვლის ამერიკის უნარს, შეასრულოს აუცილებელი მოქმედებები საჭიროების შემთხვევაში.

– ვაშინგტონის მიზანია სირიის ირანის ძალებისაგან სრული გათავისუფლება, – აღნიშნავს პომპეო.

ექსპერტების ინფორმაციით, ვაშინგტონს თეირანთან არ გამოუვიდა საიდუმლო მოლაპარაკებები. ამიტომ, არ არის გამორიცხული, ირანში დესტაბილიზაციის მოწყობა.

აშშ აგრძელებს ქურთების მხარდაჭერას. როცა დასჭირდება, ვაშინგტონი ქურთებს გაააქტიურებს.

აშშ მოუწოდებს ეგვიპტეს, იორდანიას და სპარსეთის ყურის სახელმწიფოებს, შექმნან კავშირი. ვაშინგტონის შეფასებით, ყატართან კონფლიქტი გაჭიანურდა და ამას ბოლო უნდა მოეღოს.

თურქი ექსპერტები ახლო აღმოსავლეთში რუსეთის სიძლიერეზე საუბრობენ. როგორც ჩანს, ისინი გაანაწყენა იმან, რომ აშშ ქურთებს კვლავინდებურად მოკავშირეებად მიიჩნევს.

მათი აზრით, რუსეთის ნაბიჯები ახლო აღმოსავლეთში, განსაკუთრებით, სირიაში, რაციონალური და ხისტია. მოსკოვი სარგებელს ნახულობს აშშ-ისა და ევროკავშირის სისუსტეებიდან და ახერხებს ისეთ რეგიონულ მოთამაშეებთან თანამშრომლობას, როგორებიცაა თურქეთი, საუდის არაბეთი, ყატარი, ისრაელი, ირანი და ეგვიპტე.

თურქი ანალიტიკოსების თქმით, რუსეთს მთავარი საგარეო პრობლემები პოსტსაბჭოთა სივრცეში აქვს. მაგალითად, მეზობელი საქართველოსთვის რუსეთის მიერ აღიარებული ტერიტორიები მისი ნაწილია.

მათი სიტყვებით, პოსტსაბჭოთა რესპუბლიკები ცდილობენ თავის დაცვას იმ დროს, როცა რუსეთი მათგან მოსკოვის მიმართ ლოიალური პოლიტიკის გატარებას მოითხოვს.

ბევრი ნიშნის მიხედვით, რეგიონში ღია თუ ფარული დაპირისპირება გამძაფრდება. არ არის გამორიცხული, რუსეთ-თურქეთ-ირანის სამეულის დაშლა.

ირანში სიტუაციის შესაძლო არევას კი მოჰყვება ირანელების ახალი ნაკადები სხვა ქვეყნებში. საქართველო ამ ქვეყნებს შორის პირველი იქნება. ირანელების მიერ საქართველოში სადარბაზოებისა და მთელი კორპუსების შესყიდვის პრაქტიკა უკვე დანერგილია.

# „ბოლო წლებში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კაპიტალის ბაზრის განვითარებისთვის არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა“



ეროვნული ბანკის პრეზიდენტი კობა გვენეტაძე კაპიტალის ბაზრის განვითარებასთან დაკავშირებით, სოციალურ ქსელში პოსტს აქვეყნებს, რომელსაც commersant.ge უცვლელად გთავაზობთ:

ბოლო წლებში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა კაპიტალის ბაზრის განვითარებისთვის არაერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა, რამაც უკვე თვალსაჩინო შედეგები მოგვცა. სებ-ის წამახალისებელმა მონეტარულმა პოლიტიკამ, საგადასახადო შეღავათებმა და ბიზნესის მხრიდან ალტერნატიული დაფინანსების წყაროების ძიებამ, კიდევ უფრო გაზარდა ინტერესი კაპიტალის ბაზრის მიმართ.

ადგილობრივ ბაზარზე საჯარო შეთავაზებით გამოშვებული კორპორატიული სავალო ფასიანი ქაღალდები, 2018 წელს წინა წელთან შედარებით 104%-ით გაიზარდა.

საგულისხმოა, რომ გაიზარდა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მიერ ლარით დენომინირებული სავალო ფასიანი ქაღალდების გამოშვებაც, რომელმაც 2018 წლის განმავლობაში 458 მილიონი ლარი შეადგინა (2017: 243 მილიონი ლარი).

# სააფთიაქო ქსელში გრიპის ვაქცინის დეფიციტია




სააფთიაქო ქსელში გრიპის ვაქცინის დეფიციტია. პრეპარატი, რომელსაც H1N1 ვირუსის პრევენციისათვის იყენებენ, მარაგში აღარ არის. დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის გენერალური დირექტორის განცხადებით, გაზრდილი მოთხოვნიდან გამომდინარე, დაავადებათა კონტროლის ცენტრი კიდევ 3.000 ერთეული ვაქცინის შემოტანას შეძლებს.

ამირან გამყრელიძე აცხადებს, რომ მომავალ კვირას შემოტანილი უფასო ვაქცინა ყველასათვის ხელმისაწვდომი არ იქნება და ისევ სოციალურად დაუცველებსა და მაღალი რისკის ჯგუფში შემავალ პირებზე გადანაწილდება.

– მოძიებულია გარკვეული რაოდენობა, შემოვიტანთ და მომავალ კვირაში იქნება გარკვეული რაოდენობა ვაქცინის, გადავწყვიტავთ, რა კატეგორიის ადამიანებს შევთავაზოთ, – ამბობს გამყრელიძე.

# სამხარაულის ექსპერტიზის ბიურომ „გურამიშვილის“ მეტროსადგურის რეაბილიტაციის პროექტი დაიწუნა

დასაწყისი მე-3 გვერდზე

ში მიმდინარე სარემონტო სამუშაოები დროებით შეჩერდა. თუმცა, „გურამიშვილი“ სწორედ 2018 წელს მისი ზედა გარემონტებული სივრცით გაიხსნა. ამჟამად მგზავრთა გადაყვანა უსაფრთხოების სრული დაცვითაა უზრუნველყოფილი.

მეტროსადგურ „გურამიშვილის“ რეაბილიტაციისთვის დაგეგმილი იყო ისეთი მასშტაბური სამუშაოების განხორციელება, როგორიცაა სადგურის ვესტიბიულების თაღების ჩამოხსნა და ჩაწნეხა, დახრილი გვირაბის გაწმენდა, გალესვა და სამღებრო სამუშაოების წარმოება, თუმცა როდის მოხდება ამ სამუშაოების ჩატარება, ამ ეტაპზე უცნობია.

რაც შეეხება „ვარკეთილის“ მეტროსადგურის რეაბილიტაციის საკითხს, გიორგი ტალახაძის განცხადებით, ამჟამად მოკვლევითი და შემდგომი საპროექტო სამუშაოებისთვის საპროექტო ორგანიზაციებთან მოლაპარაკებების პროცესი მიმდინარეობს. მისივე თქმით, ვარკეთილის მატროსადგურში ყველაფრის თავიდან გამოკვლევა უნდა მოხდეს და შემდგომ რეაბილიტაციის პროცესი დაიწყება.

შეგახსენებთ, რომ გასული წლის 30 იანვარს, მეტროსადგურ „ვარკეთილის“ ქვედა ვესტიბიულში შეკიდული ჭერი ჩამოიშალა. ამ ფაქტს უბედური შემთხვევა არ მოჰყოლია. თბილისის მერიისა და სატრანსპორტო კომპანიის გადაწყვეტილებით, ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ მგზავრთა უსაფრთხოების მიზნით, ყველა მეტროსადგური შემოწმდა.

# 1 იანვრიდან დაგროვებით საპენსიო სისტემაში 5.000-ზე მეტი კომპანია ჩაერთო



1 იანვრიდან დაგროვებით საპენსიო სისტემაში 5.000-ზე მეტი კომპანია ჩაერთო, შესაბამისად, წარადგინეს ინფორმაცია საპენსიო დეკლარაციის სახით და უკვე ჩაირიცხა შესაბამისი საპენსიო შენატანებიც. ამის შესახებ „კომერსანტს“ საპენსიო სააგენტოს ხელმძღვანელმა, ლევან სურგულაძემ, განუცხადა.

მისი განმარტებით, სისტემაში ჩართულია როგორც რამდენიმე მსხვილი კომპანია, ისე მცირე და საშუალო ბიზნესი. სურგულაძის თქმით, საპენსიო სქემაში ასევე ჩართული არიან ის უცხოელები, რომლებსაც საქართველოში მუდმივი ბინადრობის ნებართვა აქვთ. საპენსიო სააგენტოს ხელმძღვანელი აცხადებს, რომ სისტემაში ბოლო მონაცემებით, დაახლოებით, 200.000 მოქალაქეა ჩართული.

ლევან სურგულაძის განმარტებით, ამ დროისთვის საკმაოდ მაღალი აქტივობაა, რომელსაც არავინ ელოდა.

– ახლა ახალი წლის დღეებია მოგეხსენებათ, თუმცა, 3-4 იანვარს მაინც ძალიან დიდი აქტივობა იყო. 2.500 კომპანია პირველ ორ დღეში ჩაერთო. ეს ძალიან კარგი შედეგია. ჯამში, ალბათ, 6 სამუშაო დღე იყო, – აღნიშნავს სურგულაძე.

კითხვაზე, სააგენტოს ცხელ ხაზზე, ფიზიკური და იურიდიული პირები ძირითადად, რა ტიპის კითხვებით მიმართავენ, სურგულაძე აღნიშნავს, რომ ძირითადი შეკითხვები ტექნიკურია, რომელიც სისტემის მოხმარებას ეხება.

რაც შეეხება პენსიის დაგროვების სქემას, სურგულაძის განმარტებით, დარიცხული ხელფასიდან დასაქმებული დაზოგავს 2%-ს, მას ასევე დამსაქმებელი ამავე ხელფასიდან თვითონ დაუთვლის და დაურიცხავს ინდივიდუალურ საპენსიო ანგარიშზე 2%-ს და სახელმწიფოც ამ ხელფასიდან გამოთვლის 2%-ს და დაურიცხავს მოქალაქეს საპენსიო ანგარიშზე.

ლევან სურგულაძის განმარტებით, არის გამონაკლისი შემთხვევები, როცა მოქალაქეს ერთიანად შეუძლია თანხის გატანა თავისი საპენსიო ანგარიშიდან. კერძოდ, მოქალაქეს საპენსიო ასაკამდე მიუღწევლად დაგროვებული პენსიის მოხსნა შეეძლება, თუ მას შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსი დაუდგინდება, ასევე, თუ დატოვებს საქართველოს მუდმივად და სხვა ქვეყანაში გადავა საცხოვრებლად; თუ კანონის მიღების დროს საპენსიო სქემაში ჩართვისას იყო უკვე, კაცის შემთხვევაში 60 წლის და მეტის, ქალის შემთხვევაში 55 წლის და მეტის. ამ ასაკობრივი ჯგუფის ადამიანები ნებისმიერ დროს შეძლებენ პენსიის გატანას.

ლევან სურგულაძემ განმარტა, რომ გარდაცვალების შემთხვევაში საპენსიო დანაზოგი კანონიერ მემკვიდრეს გადაეცემა.

რაც შეეხება თვითდასაქმებულ მოქალაქეებს, მათთვის საპენსიო სქემაში ჩართვა ნებაყოფლობითია. ამ შემთხვევაში მოქალაქე გამოდის როგორც დამსაქმებელი, ასევე დასაქმებული, შესაბამისად, იხდის როგორც დასაქმებული 2-%-ს და როგორც დამსაქმებელი 2%-ს, 2%-ს კიდევ სახელმწიფო ურიცხავს, ანუ ჯამში თვითდასაქმებულსაც 6% გამოსდის.

რაც შეეხება საკითხს, თუ რამდენი იქნება მოქალაქის პენსია საპენსიო ასაკისთვის: თუ დასაქმებული 20 წლის არის (კაცი) და მისი ხელფასი თვეში 1000 ლარია, 1.000 ლარიანი ხელფასის პირობებში 65 წლის ასაკში მის საპენსიო ანგარიშზე 388 ათასი ლარი შეგროვდება და პენსიაზე გასვლის შემდეგ ყოველთვიურად 3.236 ლარს მიიღებს, რასაც დაემატება სახელმწიფოს მიერ განსაზღვრული პენსიაც.

საქართველოში დაგროვებითი საპენსიო სისტემა 2019 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა.

# თემურ ბასილია: „აუცილებელია პასუხი გაეცეს კითხვას — ეს დარღვევა მხოლოდ „თიბისი ბანკში“ მოხდა თუ სხვა ბანკებშიც ხდებოდა?“

ამერიკაში მცხოვრები ფინანსისტი თემურ ბასილია „თიბისი ბანკის“ საქმეს „კომერსანტთან“ აფასებს. მისი თქმით, მალე 15 წელიწადი გახდება, რაც საქართველოში არ ყოფილა, შესაბამისად, შესაძლოა ამ საქმესთან დაკავშირებულ ყველა დეტალს არ იცნობდეს. ამიტომ, თემაზე ზოგადი საუბრით შემოიფარგლება.

– მაგალითად, აშშ-ში ძალიან ხშირად ხდება საბანკო დაწესებულებების დაჯარიმება საკმაოდ დიდი თანხებით. მაგალითად, ბოლო წლების განმავლობაში იყო იპოთეკურ კრედიტებთან და ვალუტის გაცვლითი კურსის მანიპულაციებთან დაკავშირებული თემები, როდესაც მარეგულირებელმა ორგანომ მილიარდობით აშშ დოლარით დააჯარიმა წამყვანი ამერიკული ბანკები. ამ ბანკების უმაღლესი თანამდებობის პირები კი, იმიტომაც გადაურჩნენ სისხლის სამართლებრივ დევნას, რომ მათ მჭიდროდ ითანამშრომლეს გამოძიებასთან და სრული და ამომწურავი ინფორმაცია მიაწოდეს ამერიკელ სამართალდამცავებს აღნიშნულ გადაცდომებზე.

არასოდეს შემხვედრია რაიმე სტატია ან მინახავს სატელევიზიო გადაცემა, რომლებშიც ეს ფაქტები ვინმეს შეეფასებინა, როგორც ამერიკულ საბანკო სისტემაზე დარტყმად. პირიქით, როდესაც ხდებოდა ჯარიმის ამოღება, ამ თანხის უდიდესი ნაწილი სწორედ იმ პირებს გადაეცემოდა, ვინც ზიანი განიცადეს ბანკების არასწორი მოქმედებების გამო. ასევე, ასეთი ფაქტების გამო არავითარი ზიანი არც აშშ-ის და არც ამერიკულ საბანკო სისტემას არ მისდგომია. ზოგადად, სახელმწიფოს აქვს უფლება და ასევე, ვალდებულება, რომ მოსთხოვოს კანონის დაცვა როგორც ფიზიკურ, ასევე, იურიდიულ პირებს და მათ შორის, ბანკებსაც. არავინ დგას კანონზე მაღლა აშშ-ში, მათ შორის, არც ბანკები.

ასევე, როდესაც რომელიმე თემის დამუშავება ხდება (მაგალითად, იგივე იპოთეკური კრედიტების ან სავალუტო კურსით მანიპულირების), მარეგულირებელი და სამართალდამცავი ორგანოები ამოწმებენ არა ერთ, არამედ ყველა იმ საბანკო დაწესებულებას, ვისაც რაიმე შეხება აქვს ამ თემებთან. ამიტომაც, როდესაც საუბარია, რომ ერთ-ერთ ბანკში მოხდა დარღვევა, აუცილებელია პასუხი გაეცეს კითხვას, ეს დარღვევა მხოლოდ ერთ ბანკში (ამ შემთხვევაში თიბისი-ში) მოხდა, თუ სხვა ბანკებშიც ხდებოდა?

ამ კითხვაზე პასუხი იმიტომაც არის აუცილებელი, რომ საზოგადოებაში არ გაჩნდეს განცდა, ხომ არ ხდება მხოლოდ ერთი ორგანიზაციის მიმართ კანონის ამოქმედება, მაშინ როდესაც, სხვა ორგანიზაციებსა და ბანკებში მსგავსი გადაცდომები ყურადღების მიღმა რჩება. აშშ-ში ასეთ მიდგომას უდიდეს ყურადღებას აქცევენ, რადგან ეს აღიქმება, როგორც შერჩევითი სამართალი.

აშშ-ში ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ასეთი ტიპის გამოძიებები ტრანსპარანტულად ტარდებოდეს, დაცული იყოს უმაღლესი სტანდარტი და საზოგადოებას სისტემატიურად მიეწოდოს ამომწურავი ინფორმაცია, – აღნიშნავს ბასილია.



მისივე შეფასებით, სამწუხაროდ, საქართველოში საზოგადოების ინფორმირებულობა ნაკლებად ხდება. კერძოდ, „თიბისი ბანკის“ შემთხვევაშიც, სრულიად შემთხვევით გავიგეთ თურმე, რომ იგი ეროვნულ ბანკს დაუჯარიმებია 1 მილიონი ლარით. თუმცა, ეროვნული ბანკის ეს განცხადება იყო იმდენად ბუნდოვანი და არასრულყოფილი, რომ გაუგებარი დარჩა, რატომ, რისთვის და როდის დააჯარიმეს ეს ბანკი. ასევე, გაუგებარი დარჩა, რის საფუძველზე მოხდა ამ ჯარიმის გაანგარიშება. სწორედ, ასეთი ნაკლები ტრანსპარანტულობა იწვევს საზოგადოებაში სხვადასხვა კითხვებს.

რაც შეეხება საბანკო სექტორს, მასზე ყველაზე დიდი გავლენა აქვს ეროვნულ ბანკს და მის ფულად-საკრედიტო პოლიტიკას.

– ჩვენ არაერთხელ გვისაუბრია ე.წ. რეფინანსირების სესხებზე, რომლითაც პრაქტიკულად ქართულ საბანკო სისტემას მიეწოდება ჟანგბადი. რამდენად სწორი და სასარგებლოა ეს როგორც ქვეყნისთვის, ასევე თავად საბანკო სექტორისთვის, ეს სხვა თემაა. მე მგონი, ყველამ, ვინც მეტ-ნაკლებად ჩახედულია საბანკო სისტემაში, იცის, რომ არა ეს ე.წ. რეფინანსირების სესხები, ბანკები ლიკვიდობის სერიოზული პრობლემების წინაშე დადგებოდნენ. ეროვნული ბანკი თუ გადაუკეტავს ამ „ჟანგბადს“ რომელიმე ბანკს, თუნდაც რამდენიმე კვირით, ის ბანკი ყოფნა-არყოფნის საფრთხის წინაშე დადგება. სწორედ ამიტომაც ვსაუბრობ კარგა ხანია, რომ საქართველოს საბანკო სისტემაში სერიოზული რეფორმებია გასატარებელი. სამწუხაროდ, როგორც ჩანს, ამ თემაზე არავის უნდა არც საუბარი და, მით უმეტეს, რაიმე ნაბიჯის გადადგმა. სწორედ ეს გახლავთ ყველაზე მთავარი პრობლემა ქართულ საბანკო სექტორში და არა სამართალდამცავი ორგანოების მიერ მათი შემოწმება, – აცხადებს ბასილია.

შეგახსენებთ, რომ საქართველოს გენერალურმა პროკურატურამ „თიბისი ბანკის“ საქმეზე მიმდინარე საგამოძიებო მოქმედებების ფარგლებში გარკვეული დოკუმენტაცია გამოითხოვა. საქართველოს მთავარი პროკურატურის განცხადებით, „თიბისი ბანკის“ საქმეზე ბანკის ხელმძღვანელი პირები და ბიზნესმენი ავთანდილ წერეთელი დაიკითხა. მათი ინფორმაციით, დაკითხულ იქნა საქმესთან შემხებლობაში არსებული ყველა პირი.

– „თიბისი ჯგუფის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციით, იმ საქმეზე, რასაც პროკურატურა იძიებს, სებ-მა წლების წინ ბანკი დააჯარიმა. ეს ჯარიმა კი დღეს შეჩერებულია. რაც შეეხება პროკურატურის მიერ გაკეთებულ კომენტარს დოკუმენტების ამოღებასთან დაკავშირებით, საკითხი ეხება 2008 წლის რიგით, კანონიერ საბანკო ოპერაციას, რომელიც: არაერთხელ იქნა სახელმწიფო სტრუქტურების და ეროვნული ბანკის მიერ შესაბამის პერიოდებში შემოწმებული როგორც მოქმედი, ისე წინა ხელისუფლების დროს; არაერთხელ იქნა საერთაშორისო აუდიტორების მიერ შემოწმებული და მათი სისწორე დადასტურებული; ამასთან, მოცემული ტრანზაქცია ხანდაზმულია, – აცხადებენ „თიბისი ბანკში“.

# „არც ერთ ბიზნესს არ უხარია გადასახადების პირდაპირ ან ირიბად გაზრდა, თუმცა დაგროვებითი საპენსიო სისტემა ქვეყანაში უნდა არსებობდეს“



– არც ერთ ბიზნესს არ უხარია გადასახადების პირდაპირ ან ირიბად გაზრდა, თუმცა დაგროვებითი საპენსიო სისტემა ქვეყანაში უნდა არსებობდეს, – ამის შესახებ „ვისოლ ჯგუფის“ დამფუძნებელმა, ბიზნესმენმა, სოსო ფხაკაძემ „ბანკები და ფინანსებთან“ საუბრისას განაცხადა.

– საკმაოდ დიდი ხანია, რაც საპენსიო რეფორმაზე მიმდინარეობს საუბარი და ერთხელ და სამუდამოდ ეს რეფორმა უნდა გატარებულიყო საქართველოში. მნიშვნელოვანია, რომ აქტიურად მოხდეს ამ რეფორმის გაშუქება და ინფორმაციის მიწოდება როგორც საზოგადოებისთვის, ასევე ბიზნესისთვის, რადგან მაქსიმალურად შემცირდეს ის კითხვები, რომელიც დღეს მის გარშემო არსებობს. შესაბამისი უწყების წარმომადგენლების მხრიდან ბიზნესასოციაციაშიც იგეგმება შეხვედრა ამ საკითხთან დაკავშირებით. ზოგადად, როდესაც რაიმე ახალი რეფორმის გატარება იგეგმება, მით უმეტეს, ასეთი მასშტაბური რეფორმის, უნდა იყოს უფრო მეტი პიარი, მეტი კომუნიკაცია საზოგადოებასთან და ბიზნესთან. შეკითხვები ნამდვილად არსებობს, გამორიცხულია, რომ ისინი არ იყოს, გამოჩნდებიან ამ რეფორმის მოწინააღმდეგე ადამიანებიც, მაგრამ ძალიან ბევრი ოპონენტი არის მაშინ, როდესაც მათ სათანადო ინფორმაცია არ აქვთ.

რაც შეეხება ბიზნესის მხრიდან კრიტიკას, არც ერთ ბიზნესს არ უხარია, როდესაც გადასახადები პირდაპირ ან ირიბად ეზრდება, მაგრამ პირველ რიგში, ჩვენ ყველანი ვართ ადამიანები, ამ ქვეყნის მოქალაქეები, ყველას მოგვიწევს საპენსიო ასაკი, ამიტომ ვფიქრობ, ეს რეფორმა აბსოლუტურად გამართლებულია და არ შეიძლება დაგროვებითი საპენსიო სისტემა არ არსებობდეს ქვეყანაში, – განაცხადა ბიზნესმენმა „ბანკები და ფინანსებთან“ საუბრისას.

BFM.GE

# „თამბაქოზე აქციზის ზრდის გრძელვადიანი გეგმა საქართველოს მთავრობამ დარგს უნდა გააცნოს“




– თამბაქოს ნაწარმზე აქციზის განაკვეთის დაგეგმილი ეტაპობრივი ზრდის შესახებ ინდუსტრია სრულყოფილად უნდა იყოს ინფორმირებული, რათა დარგმა შეძლოს ადგილობრივ ბაზარზე გრძელვადიანი ეკონომიკური საქმიანობის დაგეგმვა, – ამის შესახებ ბიზნესომბუდსმენის აპარატის მიერ გავრცელებულ განცხადებაშია ნათქვამი.

მათი თქმით, კერძო სექტორს საქმიანობის დასაგეგმად სჭირდება პროგნოზირებადი გარემო და ბიზნესისთვის წინასწარ შეტყობინების და კონსულტაციის გარეშე გადასახადის განაკვეთის ცვლილება აზიანებს ქვეყნის ბიზნეს გარემოს.

– როგორც ცნობილია, საქართველომ თამბაქოს ნაწარმის აქციზზე 8 წელიწადში მიაღწიოს ევროპის საბჭოს დირექტივით გათვალისწინებულ მინიმალურ განაკვეთს, რაც გულისხმობს 1.000 ღერ სიგარეტზე 90 ევროს აქციზის დაწესებას. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, აქციზის ზრდის გრძელვადიანი გეგმის არსებობა, რომელშიც გაწერილი იქნება გადასახადის ყოველწლიური ზრდა.

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატს განცხადებით, თამბაქოს იმპორტიორმა კომპანიებმა მომართეს. ბიზნესომბუდსმენის აპარატი იზიარებს თამბაქოს იმპორტიორების პოზიციას და მიზანშეწონილად მიგვაჩნია, შემუშავდეს თამბაქოს ნაწარმზე აქციზის განაკვეთის ზრდის გრაფიკი და გათვალისწინებული იქნეს ბიზნესის ინტერესები და ის რისკები, რაც შესაძლოა თან ახლდეს აქციზის განაკვეთის ცვლილებას, – ნათქვამია განცხადებაში.

საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატმა შესაბამისი სამართლებრივი დასკვნა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს და საქართველოს პარლამენტის საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტს უკვე წარუდგინა.

# პენიტენციურ დაწესებულებაში მსჯავრდებული ბიძინა ცხადაძე გარდაიცვალა



პენიტენციურ დაწესებულებაში 13 იანვარს მსჯავრდებული ბიძინა ცხადაძე გარდაიცვალა.

როგორც სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში აცხადებენ, მსჯავრდებულ ბიძინა ცხადაძეს აღენიშნებოდა მაღალი არტერიული წნევა და უჩიოდა ტკივილს გულ-მკერდის არეში. მათივე ინფორმაციით, პენიტენციური დაწესებულების ექიმებმა მიიღეს გადაწყვეტილება მსჯავრდებულის სამოქალაქო სექტორის კლინიკაში გადაყვანის თაობაზე, თუმცა იგი კლინიკაში მიყვანამდე გარდაიცვალა.

„სპეციალური პენიტენციური სამსახური მსჯავრდებულ ბიძინა ცხადაძის გარდაცვალებასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ ბ. ცხადაძე №14 პენიტენციურ დაწესებულებაში 2017 წლის 13 მაისს იქნა მოთავსებული. დაწესებულებაში მოთავსების დღიდან მსჯავრდებული სათანადო სამედიცინო მომსახურებით იყო უზრუნველყოფილი.

სასჯელის მოხდის პერიოდში ბ. ცხადაძე კონსულტირებულია ექიმი-სპეციალისტების (კარდიოლოგი, ფსიქიატრი. ოფთალმოლოგი, პირველადი ჯანდაცვის ექიმი) მიერ. დაუდგინდა დიაგნოზი – არტერიული ჰიპერტენზია. მოცემული დიაგნოზიდან გამომდინარე, მას მკურნალობა უტარდებოდა კარდიოლოგის და პირველადი ჯანდაცვის ექიმის დანიშნულების შესაბამისად შემდეგი მედიკამენტებით: ტენოქსი 5მგ. კარდიოასპირინი 300 მგ, ალოხოლი, ნოლპაზა.

13 იანვარს, დაახლოებით 17:50 საათზე, მსჯავრდებულს აღენიშნებოდა მაღალი არტერიული წნევა, 200/100, რის გამოც ადგილზე გამოძახებული იქნა სამედიცინო პერსონალი და გაეწია მედიკამენტოზური მკურნალობა. დაახლოებით 18:15 საათზე მსჯავრდებულს კვლავ გაეწია ექიმის კონსულტაცია, დაუდგინდა წნევა 120/80. ვინაიდან მსჯავრდებული უჩიოდა ტკივილს გულ-მკერდის არეში, იგი მოთავსდა პენიტენციური დაწესებულების სამედიცინო ნაწილში და 18:23 საათზე პენიტენციური დაწესებულების ექიმების მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება სამოქალაქო სექტორის კლინიკაში გადაყვანის თაობაზე.

18:27 საათზე დაწესებულების ადმინისტრაცია დაუკავშირდა 112-ს. 19:20 საათზე მსჯავრდებული სასწრაფო სამედიცინო დახმარების მანქანით გაიყვანეს პენიტენციური დაწესებულებიდან (წნევა იყო 100/60), თუმცა იგი კლინიკაში მიყვანამდე გარდაიცვალა“ – განუცხადეს „ინტერპრესნიუსს“ სპეციალურ პენიტენციურ სამსახურში.

# ბათუმში მე-11 სართულიდან 43 წლის ქალი გადმოვარდა



ბათუმში მე-11 სართულიდან 43 წლის ქალი გადმოვარდა

ბათუმში, ბაგრატიონის ქუჩაზე 43 წლის ქალი მე-11 სართულიდან გადმოვარდა და გარდაიცვალა. ქალი ძმასთან სტუმრად იმყოფებოდა.

რა გახდა ქალის აივნიდან გადავარდნის მიზეზი, ახლობლებისთვის უცნობია.

ადგილზე ექსპერტ-კრიმინალისტები გვიანობამდე მუშაობდნენ. მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება.

ცხედარი ექსპერტიზაზე გადაასვენეს.

# გორში გრიპის ვირუსით მამაკაცი გარდაიცვალა




გორში გრიპის ვირუსით 13 იანვარს 48 წლის მამაკაცი გარდაიცვალა. მამაკაცი კლინიკა „გორმედში“ მკურნალობდა.

გარდაცვალების ოფიციალურ მიზეზად H1N1 შტამის ვირუსი ოფიციალურად დადგენილია.

– შემოსული იყო მაღალი ცხელებით, სუნთქვის უკმარისობით, ამასთან იყო ღვიძლის მძიმე უკმარისობა, – ამბობს „გორმედის“ კლინიკური დირექტორი დავით ყაზაიშვილი.

# „ღორის გრიპით“ 10 თვის ბავშვი გარდაიცვალა




ე.წ. ღორის გრიპის ვირუსით 10 თვის ბავშვი გარდაიცვალა. ჯანდაცვის სამინისტროს ინფორმაციით, ბავშვს ე.წ. H1N1-ის გრიპთან ერთად წითელაც ჰქონდა.

აღნიშნული ფაქტი, H1N1-ის ვირუსით საქართველოში ადამიანის გარდაცვალების მე-16 შემთხვევაა.

# დავით კირკიტაძე სასამართლომ უდანაშაულოდ ცნო



დავით კირკიტაძე სისხლის სამართლის საქმეზე, სადაც გამოძიება მას გუბერნატორობის დროს სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას ედავებოდა, სასამართლომ გაამართლა.

აღნიშნული გადაწყვეტილება მოსამართლე გიორგი დარახველიძემ გუშინ, 14 იანვარს, გამოაცხადა.

კირკიტაძეს აღკვეთის ღონისძიება – გირაოც გაუუქმდა.

შეგახსენებთ, რომ დავით კირკიტაძის მიმართ გამოძიება სხვა სისხლის სამართლის საქმეზეც მიმდინარეობს. მას ბრალი კახეთის პოლიციის დეპარტამენტში 19 დეკემბერს წარუდგინეს. გამოძიება კირკიტაძეს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე პრიმა მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენას ედავება, ველისციხეში 16 დეკემბერს გამართულ აქციაზე პოლიციელზე თავდასხმისთვის, ფიზიკური შეურაცხყოფისა და ქონების დაზიანებისთვის.

აღნიშნულ საქმეზე კირკიტაძეს აღკვეთის ღონისძიების სახით პატიმრობა აქვს შეფარდებული.

* * *

– დარწმუნებით მინდა გითხრათ, რომ კახეთის ეპიზოდშიც სამართლებრივი ბრძოლით მივაღწევთ გამამართლებელ ვერდიქტს და დავით კირკიტაძის უდანაშაულობას დავადასტურებთ, – განაცხადა კირკიტაძის ადვოკატმა გიორგი კონდახიშვილმა.

როგორც ის განმარტავს, საქმეში კირკიტაძის წინააღმდეგ მტკიცებულებები არ იყო და მის მიმართ, როგორც არასასურველი პოლიტიკური პირის მიმართ, მიმდინარეობდა დევნა.

– ჩვენი მოლოდინი გამართლდა. წარმოუდგენელი იყო სხვაგვარი გადაწყვეტილების მიღება, ვინაიდან აღნიშნულ საქმეში არ არსებობდა და ფაქტობრივად სასამართლო განხილვების დროს გაცამტვერდა ყველა ის მტკიცებულება, რომელიც საფუძვლად ედო დავით კირკიტაძის ბრალდებას.

მას, როგორც ქვემო ქართლის ყოფილ გუბერნატორს, არავითარი თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება არ ჩაუდენია და ეს სისხლის სამართლის საქმე, რომელიც რამდენიმე წლის წინ დაიწყო, ემსახურებოდა ერთადერთ მიზანს, რომ განხორციელებულიყო დევნა მის, როგორც არასასურველი პოლიტიკური ფიგურის წინააღმდეგ, – აცხადებს კონდახიშვილი.

მისივე განმარტებით, სასამართლოს გამამართლებელ განაჩენს კახეთის ეპიზოდთან მიმართებაში გამოიყენებენ.

– აღნიშნულ გადაწყვეტილებას აუცილებლად გამოვიყენებთ კახეთის ეპიზოდთან მიმართებაში, სადაც დავით კირკიტაძეს პატიმრობა შეფარდებული აქვს მხოლოდ ერთადერთი არგუმენტის საფუძველზე, რომ მას სხვა საქმეში ჩადენილი ჰქონდა სავარაუდოდ დანაშაული და პატიმრობის გარდა, სხვა ნაკლებად მკაცრი აღკვეთის ღონისძიება ვერ უზრუნველყოფდა მის ქცევას.

დღეის მდგომარეობით, დავით კირკიტაძე გამართლდა, არავითარი დანაშაული, თუნდაც, სავარაუდოდ, ჩადენილი არ აქვს. ამიტომაც პატიმრობის გამოყენება თუნდაც კახეთის ეპიზოდთან მიმართებაში, საფუძველს მოკლებულია.

ეს არის აბსოლუტურად ახლად აღმოჩენილი გარემოება, რომ იგი სხვა სისხლის სამართლის საქმეზე გამართლდა, მასთან მიმართებაში აღკვეთის ღონისძიება გაუქმდა, – დასძენს ადვოკატი.

* * *

– ბრალდების მხარეს დავით კირკიტაძის წინააღმდეგ იმდენად თვალსაჩინო მტკიცებულებები ჰქონდა წარდგენილი, ჩვენთვისაც მოულოდნელი იყო აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება, – ამის შესახებ ჟურნალისტებს კირკიტაძის საქმის პროკურორმა გიორგი მიქელაძემ განუცხადა.

როგორც ის განმარტავს, მას შემდეგ, რაც დასაბუთებული განაჩენი ჩაბარდებათ, სასამართლოს მიერ გამამართლებელ განაჩენს ბრალდების მხარე აუცილებლად გაასაჩივრებს.

მისივე თქმით, საქმეში არსებული მოწმეთა ჩვენებებით, ასევე წერილობითი მტკიცებულებებით კირკიტაძის ბრალი დასტურდებოდა.

– სამწუხაროდ, სასამართლომ გამოიტანა გამამართლებელი განაჩენი დავით კირკიტაძის მიმართ. ბრალდების მხარეს მის წინააღმდეგ იმდენად თვალსაჩინო მტკიცებულებები ჰქონდა წარდგენილი, ჩვენთვისაც მოულოდნელი იყო აღნიშნული გადაწყვეტილების მიღება.

მას შემდეგ, რაც ჩაგვბარდება განაჩენის დასაბუთებული ვერსია, ბრალდების მხარე აუცილებლად გაასაჩივრებს მას სააპელაციო წესით.

მას შემდეგ, რაც ჩაგვბარდება განაჩენის დასაბუთებული ვერსია, ვნახავთ, თუ რატომ არ გაიზიარა, რატომ არ შეაფასა გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტით სასამართლომ საკმარისად დავით კირკიტაძის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად აღნიშნული მტკიცებულებები. ამის მერე, ჩვენ მას აუცილებლად გავასაჩივრებთ, – აღნიშნავს მიქელაძე.

# „ძირს ეგდო, ორი გასროლის ხმა გავიგეთ, ორივე მუხლშია დაჭრილი“

## რა მოხდა ვაკეში, მცხეთის ქუჩაზე



13 იანვარს ვაკეში ცეცხლსასროლი იარაღით 1 ადამიანი დაიჭრა.

შემთხვევა მცხეთის ქუჩაზე მოხდა.

ადგილობრივების თქმით, მამაკაცი ორივე მუხლის არეში დაჭრეს.

– ძირს ეგდო. ორი გასროლის ხმა გავიგეთ. არანაირი ჩხუბი არ ყოფილა. მეზობელი გამოვიდა და იმის ხმაზე გამოვედით ჩვენც. დაჭრილი ჩვენს ქუჩაზე ცხოვრობს, თუმცა, როგორც ვიცი, ახალი გადმოსულია, – განაცხადა მცხეთის ქუჩის ერთ-ერთმა მცხოვრებმა.

შსს-ს ინფორმაციით, მომხდარზე გამოძიება სსკ-ის 236-ე და 117-ე მუხლებით დაიწყო, რაც ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა-შენახვა-ტარებასა და ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას გულისხმობს.

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა.** თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# ვენესუელის პარლამენტის სპიკერი ციხიდან გამოუშვეს



ვენესუელის პოლიციამ პარლამენტის სპიკერი და ოპოზიციის ლიდერი გუაიდო დააკავა. ეს მას შემდეგ მოხდა, რაც გუაიდომ გამოთქვა მზადყოფნა, პრეზიდენტის მოვალეობა შეესრულებინა.

ვენესუელის მოსახლეობის უმრავლესობა ამჟამინდელ პრეზიდენტ მადუროს თვითმარქვიას უწოდებს და მას არ ცნობს. ქვეყანაშიც მასობრივი საპროტესტო აქციებია. ხშირად ეს პოლიციასთან შეტაკებებში გადადის.

გუაიდოს დაკავებამ მორიგი საპროტესტო ტალღა გამოიწვია. ხელისუფლებაც იძულებული გახდა, ის პატიმრობიდან გაეთავისუფლებინა.

# ირანსა და პოლონეთს შორის დიპლომატიური სკანდალია



თებერვალში ვარშავაში ირანთან დაკავშირებული სამიტი გაიმართება. აღნიშნულმა ღონისძიებამ ოფიციალური თეირანი აღაშფოთა. პოლონეთის ელჩი ირანში საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოიძახეს და პროტესტი განუცხადეს.

– პოლონეთში დაგეგმილი ღონისძიება ანტიირანული ცირკია და მეტი არაფერი! ჩვენ კატეგორიულ პროტესტს გამოვთქვამთ, – ამბობს ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი ზარიფი.

# აფეთქება შახტიში



როსტოვის ოლქის ქალაქ შახტის ცხრასართულიან სახლში აფეთქება მოხდა. ეს, სავარაუდოდ, გაზის გაჟონვამ გამოიწვია.

აფეთქების შედეგად 1 ადამიანი დაიღუპა. ბევრი ახლაც რჩება ჩამონგრეული სახლის ნანგრევების ქვეშ.

მაშველები მათ გადარჩენას ცდილობენ.

# ირანში სატვირთო ბოინგი ჩამოვარდა – დაიღუპა 15 ადამიანი, 1 გადარჩა



გუშინ, 14 იანვარს, ირანში მომხდარი ავიაკატასტროფის შედეგად 15 ადამიანი დაიღუპა და 1 გადარჩა.

ამის შესახებ ინფორმაციას ირანული მედია ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციით, სატვირთო თვითმფრინავში, რომელიც თეირანის მახლობლად ჩამოვარდა, სულ 16 ადამიანი იმყოფებოდა.

ბოინგ 707 ტიპის სატვირთო თვითმფრინავი ყირგიზეთის დედაქალაქიდან ბიშკეკიდან მოფრინავდა.

ავიაკატასტროფის ზუსტი მიზეზი ჯერ დადგენილი არ არის.

*მოამზადა ნიკა თევზაძემ*

# პომპეო: „თურქეთ-აშშ-ს შორის შეთანხმება გარდაუვალია!“




აშშ-ის პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა განაცხადა, რომ ქურთების მიმართ არავითარ აგრესიულ ქმედებას არ დაუშვებს.

– მსურს თურქეთი გავაფრთხილო: ქურთები ჩვენი მოკავშირეები არიან და მათ წინააღმდეგ რაიმე ძალისმიერი ოპერაციის განხორციელება არ შეიძლება! – ამბობს ტრამპი.

ამავე დროს, სახელმწიფო მდივანი მაიკ პომპეო აშშ-თურქეთის ურთიერთობებთან მიმართებაში ოპტიმისტურადაა განწყობილი. პომპეო მიიჩნევს, რომ ვაშინგტონ– ანკარას შორის ურთიერთობები აუცილებლად დალაგდება.

– ქურთებთან დაკავშირებით გარკვეული შეთანხმების კონტურები უკვე გამოიკვეთა. მალე საბოლოო შეთანხმებასაც მივაღწევთ, – ამბობს პომპეო.

# იგორ სმეშკო: „გადავწყვიტე, უკრაინის პრეზიდენტის პოსტზე კენჭი ვიყარო!“



უკრაინის სამხედრო დაზვერვისა და უშიშროების სამსახურის ყოფილმა შეფმა, გენერალმა იგორ სმეშკომ განაცხადა, რომ უკრაინის პრეზიდენტის პოსტზე კენჭს იყრის.

იგორ სმეშკო 1955 წელს დაიბადა. ის პროფესიონალი სამხედროა და 1972 წლიდან საბჭოთა არმიის რიგებში მსახურობდა. არის ტექნიკურ მეცნიერებათა დოქტორი. უკრაინის მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ სახელმწიფოს მშენებლობაში აქტიურად ჩაება. იყო უკრაინის სამხედრო ატაშე შვეიცარიაში, სამხედრო დაზვერვის, შემდეგ კი უშიშროების სამსახურის უფროსი. აქვს გენერალ-პოლკოვნიკის სამხედრო წოდება.

სმეშკომ თავი გამოიჩინა, როგორც მაღალი დონის პროფესიონალმა და პატრიოტმა. ის უკრაინის ნატოში გაწევრიანების მომხრეა.

– უკრაინის ინტეგრაციას ევროკავშირსა და ნატოში ალტერნატივა არ გააჩნია. ამავე დროს, პროდასავლური ორიენტაცია მყარი ეროვნული ცნობიერების გარეშე არაფერს ნიშნავს! ცნება პროდასავლური ჩემთვის პროუკრაინულის სინონიმია! – ასეთია გენერალ სმეშკოს კრედო.

# უკრაინელ მართლმადიდებელთა გაერთიანების პროცესი გრძელდება



ერთიანი უკრაინული მართლმადიდებელი ეკლესია პოზიციებს დღითიდღე იმყარებს.

ნიკოლაევის მართლმადიდებლური ეკლესია, რომელიც მანამდე მოსკოვის საპატრიარქოს დაქვემდებარებაში იმყოფებოდა, უკრაინულ ავტოკეფალურ ეკლესიას შეუერთდა. ოდესის ოლქში ეკლესიები, რომლებიც მანამდე მოსკოვის საპატრიარქოს ემორჩილებოდნენ, ახლა ერთიანი უკრაინული ავტოკეფალური ეკლესიის დაქვემდებარებაში გადადიან.

იგივე ხდება ვოლინზეც. მსგავსი პროცესები მთელი უკრაინის მასშტაბით მიმდინარეობს. გაერთიანება ექსცესების გარეშე ხდება.

# მარინ ლე პენმა საარჩევნო კამპანია დაიწყო



პარიზში უკიდურესად მემარჯვენე საფრანგეთის ნაციონალური ფრონტის ყრილობა შედგა.

ამ ორგანიზაციას მარინ ლე პენი უდგას სათავეში. ის მომხრეა რუსეთის მიმართ სანქციების მოხსნის, ყირიმის რუსეთში შესვლის კანონიერების აღიარების, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის, აგრეთვე დონბასის რესპუბლიკების დამოუკიდებლობის ცნობის.

ახლა ნაციონალური ფრონტი ევროპარლამენტის არჩევნებისთვის ემზადება.

ჟურნალისტებთან საუბარში ლე პენმა განაცხადა, რომ რუსეთის მიმართ დაწესებული სანქციები საფრანგეთისთვის საზიანოა.

– რატომ გამწვავდა ჩვენში სოციალური პრობლემები? რატომ მოხდა „ყვითელი ჟილეტების“ ამბოხი? იმიტომ, რომ რუსეთიდან იაფი ნედლეული აღარ შემოდის. ფრანგი მშრომელები ვიღაც უკრაინელების გამო ზარალდებიან. ეს იდიოტიზმია და მეტი არაფერი! – ამბობს ქალბატონი.

ნაციონალური ფრონტის საარჩევნო სიაში პირველი დგას ოდიოზური ჟორდან ბორდელა. სწორედ მან გაუკეთა ორგანიზება ევროპელი პოლიტიკოსების ვოიაჟებს ყირიმში, რის შემდეგაც საფრანგეთში ყირიმის რუსეთის შემადგენლობაში შესვლისთვის ფართომასშტაბიანი კამპანია გააჩაღა.

მესამე ადგილზე ტიერი მარიანია. მან სახელი პუტინის ქება-დიდებით და რუსული ინტერესების ლობირებით გაითქვა.

# წითელი ბრიგადების მებრძოლი 40 წლის შემდეგ იტალიას გადასცეს

ტერორისტული ორგანიზაცია წითელი ბრიგადები იტალიაში გასული საუკუნის 70-იან წლებში მოქმედებდა. სწორედ ამ ორგანიზაციის ნახელავია იტალიის პრემიერის, ალდო მოროს, გატაცება და მკვლელობა. ამის შემდეგ წითელი ბრიგადები გაანადგურეს, მაგრამ მათმა ზოგიერთმა წევრმა თავს გაქცევით უშველა.



ჩეზარე ბატისტი წითელი ბრიგადების მებრძოლი იყო. მას 4 მკვლელობაში ედებოდა ბრალი. იტალიაში ის დაუსწრებლად გაასამართლეს და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. ბატისტიც ქვეყნიდან გაიქცა და ბოლივიას შეაფარა თავი.

40 წლის შემდეგ ბოლივიის მთავრობამ მკვლელი იტალიას გადასცა. ამრიგად სამართალმა გვიან, მაგრამ პური მაინც ჭამა.


# განცხადებები

## სხვადასხვა

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

## ჯანმრთელობა, მკურნალობა

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკო-ბიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

# ზამთრის თასის გამარჯვებულები თურქეთი და ცხინვალია



ლეგენდების თასი 2019-ის ბომბარდირი 9 გატანილი გოლით, საქართველოს ნაკრების კაპიტანი კახი კალაძე გახდა. ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ თურქეთის ვეტერან ფეხბურთელთა გუნდის შემტევი, ჰასან კაბზე დასახელდა, საუკეთესო მეკარედ კი, გიორგი ლომაია. მაყურებლის სიმპათიის ჯილდო ფიფას ლეგენდების გუნდის ხორვატ ფეხბურთელს, ივიცა ოლიჩს გადაეცა. უეფას გუნდს კი, ტურნირის ორგანიზატორებმა საპატიო ჯილდო გადასცეს.

თბილისის სპორტის ახალ სასახლეში დასრულდა დავით პეტრიაშვილის სახელობის ზამთრის თასის გათამაშება. ლეგენდების ტურნირი თურქეთის ნაკრებმა მოიგო, ხოლო ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს შორის საუკეთესო საფეხბურთო კლუბი ცხინვალი იყო.

**ესპანეთი-თურქეთი 1:2**

0:1 ჰასპოლატლი (2), 0:2 არსლანი (13), 1:2 ენგონგა (21)

ფინალურ შეხვედრაში თურქები ესპანეთს დაუპირისპირდნენ და დაძაბულ შეხვედრაში, მინიმალური სხვაობით – 2:1 დაამარცხეს მეტოქე.

ანგარიში სწრაფი გოლით გაიხსნა, მე-2 წუთზე მეტოქის კარი ჯიჰან ჰასპოლატლიმ აიღო. შეხვედრა თურქების შეტევებით გაგრძელდა და მე-13 წუთზე ვოლკან არსლანის გატანილი გოლით მათი უპირატესობა 2 ბურთამდე გაიზარდა. მატჩის მიწურულს შედეგი ესპანელთა შეტევებმაც გამოიღო და სხვაობა ვინსენტ ენგონგამ შეამცირა.

შეხვედრის დასრულებამდე ესპანელებმა კიდევ უფრო აქტიურად შეუტიეს, მაგრამ რამდენიმე მცდელობის მიუხედავად, ანგარიში ვერ შეცვალეს და ზამთრის თასი 2019-ზე მეორე ადგილს დასჯერდნენ.

ფინალამდე მე-3 ადგილისთვის ერთმანეთს საქართველოსა და უკრაინის ვეტერან ფეხბურთელთა გუნდები დაუპირისპირდნენ. ძირითადი დრო ფრედ დასრულდა, ხოლო ტურნირის რეგლამენტიდან გამომდინარე მესამეადგილოსნის გამოსავლენად გუნდებმა პენალტების სერია შეასრულეს. ქართველ ვეტერანებს დარტყმები უკეთ გამოუვიდათ და მეტოქე ანგარიშით 4:2 დაამარცხეს. გასული 2 გათამაშების გამარჯვებული, საქართველოს ნაკრების ზამთრის თასის 2019 წლის გათამაშებაში მე-3 ადგილზე გავიდა.

ფინალური შეხვედრის დასრულების შემდეგ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობამ და დავით პეტრიაშვილის მეუღლემ, ლიკა იოსელიანმა, გუნდებსა და ტურნირის გამორჩეულ მოთამაშეებს კუთვნილი პრიზები გადასცეს.

**ცხინვალი-დინამო (თბ) 3:1**

1:0 გ.ქურდაძე (4), 2:0 ლ.ქურდაძე (8), 2:1 ჯანგველაძე (15), 3:1 ლ.ქურდაძე (17)

ზამთრის თასი 2019 ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე გუნდებს შორის სანახაობრივი ფინალური შეხვედრით დასრულდა. გადამწყვეტ შეხვედრაში ერთმანეთს ცხინვალი და თბილისის დინამო დაუპირისპირდნენ. მატჩი გარდამავალი უპირატესობით წარიმართა და ცხინვალელთა გამარჯვებით, 3:1 დასრულდა.

ანგარიში მე-4 წუთზე გიორგი ქურდაძემ გახსნა, ცხინვალელთა შემტევმა ძლიერი დარტყმით მეკარისაგან ახლო კუთხეში გაიტანა. მალევე ცხინვალის უპირატესობა 2 ბურთამდე გაიზარდა, მე-8 წუთზე მეტოქის კარი ლევან ქურდაძემ აიღო.

პირველ ტაიმში რამდენიმე რეალური საგოლე მომენტი ორივე გუნდის კართან შეიქმნა, მაგრამ ანგარიში არ შეცვლილა. დინამოელებმა ანგარიშში სხვაობის შემცირება მეორე ნახევარში შეძლეს – შედეგიანი დარტყმა ელგუჯა ჯანგველაძემ შეასრულა.

გატანილი გოლის შემდეგ დედაქალაქელებმა აქტიურად შეტევა სცადეს, მაგრამ ბოლოსკენ საკუთარ კარში კიდევ ერთი გოლი მიიღეს და საბოლოო შედეგიც დაფიქსირდა – 3:1 ცხინვალის სასარგებლოდ.

ფინალურ შეხვედრამდე მატჩი მესამე ადგილისთვის გაიმართა, სადაც ერთმანეთს თბილისის ლოკომოტივი და რუსთავი შეხვდნენ. უხვგოლიანი შეხვედრის ძირითადი დრო ფრედ – 6:6 დასრულდა, პენალტები კი, უკეთ რუსთაველებმა შეასრულეს და 4:2 გაიმარჯვეს.

ფინალური მატჩის დასრულების შემდეგ დაჯილდოების საზეიმო ცერემონიალი გაიმართა. გუნდებსა და ტურნირის გამორჩეულ მოთამაშეებს კუთვნილი ჯილდოები საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა დავით მუჯირმა გადასცა.

ზამთრის თასი 2019-ის საუკეთესო ფეხბურთელი და ბომბარდირი ცხინვალის მოთამაშე ლევან ქურდაძე გახდა.

# დინამო ესპანელებით ივსება




როგორც უკვე ვწერდით, თბილისის დინამოში სამწვრთნელო კარიერას გააგრძელებს ჩისკო მუნიოსი, რომელიც უკვე თბილისშია.

ჩისკო ახლო წარსულში თბილისის დინამოს ფორვარდი, ბომბარდირი და კაპიტანი იყო.

**ჩისკო:**

– თბილისის დინამო ჩემს გულშია და აქ დაბრუნებით ბედნიერი ვარ.

ჩისკოს გარდა სამწვრთნელო შტაბში კიდევ ერთი ესპანელი იმუშავებს – დინამოს ფიზმომზადების მწვრთნელი ამიერიდან ესპანელი სპეციალისტი ფელის ვისენტე იქნება. მას სხვადასხვა დროს უმუშავია ლეგანესში, პარლაში, ლევანტესა და ჩინურ დალიან იფანში.

ვისენტემ უკრაინელი სპეციალისტი ვიტალი შპანიუკი ჩაანაცვლა.

რაც შეეხება ფეხბურთელებს: დინამოში 26 წლის ესპანელი შემტევი ფრან კარბია ჩაირიცხა. პირინეელ ფეხბურთელმა კლუბთან ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა. კარბია ხიმნასტიკის აღზრდილია, გამოდიოდა პობლა დე მაფუმეტში, 2013 წლიდან კი სეგუნდა დივიზიონის რეუს დეპორტიუში ასპარეზობდა.

საქართველოს ყველაზე ტიტულოვან კლუბს უახლოეს მომავალში შეუერთდება ესპანელი მეკარე, რომლის ვინაობაც, ჯერჯერობით, არ ხმაურდება.

# ბოლო წამზე წაგებული მატჩი

## საქართველომ შემოვლითი გზა არჩია



კვიპროსი-საქართველო 25:24

საქართველოს ნაკრები დრამატულ მატჩში დამარცხდა კვიპროსთან ევრო 2022-ის პირველ შესარჩევ ეტაპზე და პლეიოფის საგზური პირველი ცდით ვერ მოიპოვა, თუმცა, ამის გაკეთების შანსი ისევ აქვს.

კვიპროსი და მეორე ჯგუფის გამარჯვებული, ლუქსემბურგი უკვე გავიდნენ კვალიფიკაციის მეორე რაუნდში, პლეიოფში, ხოლო პირველი ეტაპის მონაწილე დანარჩენ 6 გუნდს ამის საშუალება ჩელენჯ ტროფიზე ექნება. ეს ტურნირი 2019 წელს გაიმართება და მისი გამარჯვებული მესამე საგზურს მიიღებს.

საქართველოს ნაკრები ძალიან ახლოს იყო იმასთან, რომ მიზნისთვის პირველივე ეტაპიდან მიეღწია. მატჩის ბოლო წამზე კვიპროსის ნაკრების კარში შვიდმეტრიანი დაინიშნა და ფრე ჩვენ გვაწყობდა, მაგრამ შანსი ვერ გამოვიყენეთ.

ჯორჯე რაშიჩმა შეხვედრა განსხვავებული შემადგენლობით დაიწყო: თევზაძე, აბრამიშვილი, ორჯონიკიძე, კბილაშვილი, ცხოვრებაძე, ჭანტურია, მაისურაძე. ხაზზე პოზიცია უჩა მაისურაძემ დაიკავა, გამთამაშებელი ირაკლი კბილაშვილი იყო, ხოლო ირაკლი ჩიქოვანი მოედანზე მე-15 წუთისთვის შემოვიდა. დაცვაში კბილაშვილს სერგო დათუკაშვილი ცვლიდა.

პირველ წუთებში რვაჯერ დავწინაურდით და კვიპროსმა რვაჯერ გაათანაბრა ანგარიში – 8:8. მაისურაძის ორწუთიანი გაძევების შემდეგ მეტოქემ 2 გოლი გაგვიტანა და აქ მოედანზე გამოვიდნენ მეკარე ტორონჯაძე, ხაზზე არსენაშვილი და ჩიქოვანი, რომელმაც მარცხენა ინსაიდის პოზიცია დაიკავა. ჩიქოვანმა მყისვე შეამცირა სხვაობა, მაგრამ აქ დაგვიდგა კრიტიკული მომენტი: ზედიზედ სამჯერ დავკარგეთ ბურთი შეტევაში და მეტოქე 4 ბურთით გავიდა წინ – 14:10. ჭანტურიამ და ჩიქოვანმა გაქვითეს 2 გოლი და ამ მონაკვეთში ძალიან შეგვეშველა გიგა ტორონჯაძე, რომელმაც მოიგერია შვიდმეტრიანი და ერთი-ერთზე გასვლა. ტაიმი კვიპროსელთა სასარგებლოდ 14:12 დასრულდა.

მეორე ნახევარში ჩიქოვანი გამთამაშებლად დადგა და თამაში თავის თავზე აიღო. 35-ე წუთზე მოედანზე პირველად გამოვიდა ლექსო წითელიშვილი, რომელმაც საგოლე პასი მიაწოდა არსენაშვილს, შემდეგი შეტევა ტორონჯაძემ მოიგერია და ცხოვრებაძემ, რომელსაც ამ მომენტისთვის მეტოქე უკვე მჭიდროდ იყვანდა, სწრაფ გარღვევაში გაათანაბრა – 17:17.

მალე დავწინაურდით კიდეც. მეტიც, 2 ბურთითაც. არსენაშვილმა სწრაფი გარღვევის შემდეგ გაიტანა, ხოლო ცხოვრებაძემ შვიდმეტრიანი – 20:18. გუნდებმა თითო გოლი გაცვალეს, მაგრამ ისევ დავკარგეთ კონცენტრაცია, რამდენიმე შეტევა უშედეგო იყო და ზედიზედ 3 ბურთი მივიღეთ – 21:22. თუმცა ყველაფერი ამით არ დასრულებულა – კვიპროსმა უმცირესობაში ორიც დაგვიმატა და მეტოქე 3 ბურთით დაწინაურდა. 3 წუთი რჩებოდა, როდესაც კვიპროსი ისევ 3 ბურთით იგებდა – 25:22.

აქ ცხოვრებაძის შვიდმეტრიანითა და ჩიქოვანის გოლით სხვაობა ერთამდე დავიდა. ფრე, ბურთების უკეთესი სხვაობის გამო, საქართველოს ნაკრებს აწყობდა, დარჩენილი კი ზუსტად ერთი წუთი იყო.

კვიპროსმა ტაიმაუტი აიღო, მაგრამ კარში ვერ დაარტყა და სირენამდე ათიოდ წამით ადრე ბურთი ჩვენებს დარჩათ, მაისურაძემ მცველებთან ჭიდილში შვიდმეტრიანი დაიმსახურა და დროც ამოიწურა.

დასარტყმელად გამოვიდა 17 წლის გიორგი ცხოვრებაძე, რომელსაც ამ მატჩში უკვე 11 გოლი ჰქონდა გატანილი, მათ შორის ექვსიდან ექვსი შვიდმეტრიანი, მთლიანად ტურნირზე კი 28 გოლი, მაგრამ კვიპროსელთა მეკარემ ნუნგოვიჩმა დარტყმა მოიგერია.

ეს იყო საქართველოს ნაკრების პირველი გაფუჭებული შვიდმეტრიანი დარტყმა ამ ტურნირზე.

საბოლოოდ, კვიპროსმა 25:24 მოიგო და ფლეი ოფში გავიდა, ჩვენ კი მეორე შანსის იმედად დაგვტოვა.

# თურმე ჩემპიონობა უჩხუბრადაც შეიძლება



გივი კარტოზიას სპორტის სასახლეში დასრულდა საქართველოს ჩემპიონატი თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობებში. ტურნირს ნაკრების ბირთვი უნდა გამოევლინა, რომლებიც ევროპის ჩემპიონატისთვის მოემზადებიან.

ჩემპიონატი საკმაოდ ორგანიზებულად მიმდინარეობდა და მხოლოდ ერთ უსიამოვნო ინციდენტს წავაწყდით, რომელზეც უკვე ვწერდით. თუმცა, რაღა უსიამოვნოს – ცემა-ტყეპა და სისხლის ღვრა სავალალო შედეგის გარეშე რომ დასრულდა, სწორედ ეს იყო დადებითი.

თავად ტურნირის დონეა საკმაოდ მაღალი იყო, რადგან თითქმის ყველა უძლიერესი ფალავანი გამოდიოდა. ტრავმების გამო მწვრთნელებმა მხოლოდ 3 ლიდერი დაასვენეს – მსოფლიოს ჩემპიონები, ვლადიმერ ხინჩეგაშვილი და ზურაბ იაკობიშვილი თავისუფალ ჭიდაობაში და 23-წლიანებში მსოფლიოს ჩემპიონი ზვიად პატარიძე ბერძნულ-რომაულში.

ჩემპიონატის უკეთ ორგანიზების მიზნით, საქართველოს ჭიდაობის ეროვნულმა ფედერაციამ უცხოელი მსაჯებიც მოიწვია: 3 სომხეთიდან და ამდენივე აზერბაიჯანიდან. თანაც, ყველა მაღალი დონის მსაჯია და დაკისრებულ მოვალეობას თავი კარგადაც გაართვეს.

ტურნირმა თითქმის უსენსაციოდ ჩაიარა, ხოლო პრიზიორთა ადგილები ასე განაწილდა.

**თავისუფალი ჭიდაობა**

57 კგ: 1. ოთარ გოგავა (ხონი); 2. ლაშა ლომთაძე (ქუთაისი); 3. ბექა ბუჯიაშვილი (გორი), გოგა ძიგუა (სამტრედია);

61 კგ: 1. ბექა ლომთაძე (ქუთაისი); 2. თეიმურაზ ვანიშვილი (გორი); 3. რამაზ თურმანიძე, თორნიკე ქათამაძე (ორივე აჭარა);

65 კგ: 1. ედემი ბოლქვაძე (სამტრედია); ამირან ვახტანგიშვილი (გორი); 3. გიორგი ბრეგვაძე, ომარ გურჯიძე (ორივე ქუთაისი);

70 კგ: 1. მირზა სხულუხია (ქუთაისი); 2. გია ავალიანი (სამტრედია); 3. ლევან ქელეხსაშვილი (ხაშური), დავით როდინაძე (აჭარა);

74 კგ: 1. ავთანდილ კენჭაძე (ამბროლაური); 2. გიორგი სულავა (ქუთაისი); 3. დავით ტლაშაძე (გორი), ზურაბ ერბოწონაშვილი (საგარეჯო);

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# შედეგები

13 იანვარი

**ფეხბურთი**

**აზიის თასი**

ჩრ.კორეა-ყატარი ........................ 0:6
ომანი-იაპონია ........................ 0:1
თურქმენეთი-უზბეკეთი ........................ 0:4

**ინგლისი. პრემიერლიგა**

ევერტონი-ბორნმუთი ........................ 2:0
ტოტენჰემი-მანჩესტერი ........................ 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ლივერპული | 22 | 18 | 3 | 1 | 50-10 | 57 |
| 2.სიტი | 21 | 16 | 2 | 3 | 56-17 | 50 |
| 3.ტოტენჰემი | 22 | 16 | 0 | 6 | 46-22 | 48 |
| 4.ჩელსი | 22 | 14 | 5 | 3 | 40-17 | 47 |
| 5.არსენალი | 22 | 12 | 5 | 5 | 46-32 | 41 |
| 6.მანჩესტერი | 22 | 12 | 5 | 5 | 44-32 | 41 |
| 7.უოტფორდი | 22 | 9 | 5 | 8 | 32-32 | 32 |
| 8.ლესტერი | 22 | 9 | 4 | 9 | 26-25 | 31 |
| 9.ვესტ ჰემი | 22 | 9 | 4 | 9 | 30-32 | 31 |
| 10.ევერტონი | 22 | 8 | 6 | 8 | 33-31 | 30 |
| 11.ვულვზი | 21 | 8 | 5 | 8 | 23-25 | 29 |
| 12.ბორნმუთი | 22 | 8 | 3 | 11 | 31-42 | 27 |
| 13.ბრაიტონი | 22 | 7 | 5 | 10 | 24-30 | 26 |
| 14.კრ.პალასი | 22 | 6 | 4 | 12 | 20-28 | 22 |
| 15.ბარნლი | 22 | 6 | 3 | 13 | 23-43 | 21 |
| 16.საუთჰემპტონი | 22 | 4 | 7 | 11 | 23-39 | 19 |
| 17.კარდიფი | 22 | 5 | 4 | 13 | 19-41 | 19 |
| 18.ნიუკასლი | 22 | 4 | 6 | 12 | 16-31 | 18 |
| 19.ფულემი | 22 | 3 | 5 | 14 | 20-49 | 14 |
| 20.ჰადერსფილდი | 22 | 2 | 5 | 15 | 13-37 | 11 |

**ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი**

ატლეტიკო-ლევანტე ........................ 1:0
ბილბაო-სევილია ........................ 2:0
ბარსელონა-ეიბარი ........................ 3:0
ბეტისი-რეალი ........................ 1:2

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 19 | 13 | 4 | 2 | 53-20 | 43 |
| 2.ატლეტიკო | 19 | 10 | 8 | 1 | 27-13 | 38 |
| 3.სევილია | 19 | 9 | 6 | 4 | 31-20 | 33 |
| 4.რეალი | 19 | 10 | 3 | 6 | 28-24 | 33 |
| 5.ალავესი | 19 | 9 | 5 | 5 | 22-19 | 32 |
| 6.ხეტაფე | 19 | 7 | 7 | 5 | 21-16 | 28 |
| 7.ბეტისი | 19 | 7 | 5 | 7 | 22-23 | 26 |
| 8.ხირონა | 19 | 5 | 9 | 5 | 21-23 | 24 |
| 9.ესპანიოლი | 18 | 7 | 3 | 8 | 19-24 | 24 |
| 10.ვალენსია | 19 | 4 | 11 | 4 | 17-17 | 23 |
| 11.ლევანტე | 19 | 6 | 5 | 8 | 30-35 | 23 |
| 12.სოსიედადი | 18 | 6 | 4 | 8 | 20-20 | 22 |
| 13.ვალიადოლიდი | 19 | 5 | 7 | 7 | 17-21 | 22 |
| 14.ლეგანესი | 19 | 5 | 7 | 7 | 17-21 | 22 |
| 15.ბილბაო | 19 | 4 | 10 | 5 | 20-25 | 22 |
| 16.ეიბარი | 19 | 5 | 7 | 7 | 21-28 | 22 |
| 17.სელტა | 19 | 5 | 6 | 8 | 31-32 | 21 |
| 18.რაიო | 19 | 5 | 4 | 10 | 22-34 | 19 |
| 19.ვილიარეალი | 19 | 3 | 8 | 8 | 20-25 | 17 |
| 20.უესკა | 19 | 2 | 5 | 12 | 17-36 | 11 |

**ესპანეთი. სეგუნდა დივიზიონი**

კორდობა-მაჰადაონდა ........................ 1:1
ალკორკონი-ალმერია ........................ 0:0
ლუგო-ესტრემადურა ........................ 1:1
სარაგოსა-მალაგა ........................ 0:2
ელჩე-ხიმნასტიკი ........................ 1:0

**იტალია. თასი**

ტორინო-ფიორენტინა ........................ 0:2
ინტერი-ბენევენტო ........................ 6:2
ნაპოლი-სასუოლო ........................ 2:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ნანტი-რენი ........................ 0:1
დიჟონი-მონპელიე ........................ 1:1
ტულუზა-სტრასბური ........................ 1:2
მარსელი-მონაკო ........................ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 18 | 16 | 2 | 0 | 53-10 | 50 |
| 2.ლილი | 20 | 11 | 4 | 5 | 32-20 | 37 |
| 3.ლიონი | 19 | 9 | 6 | 4 | 31-22 | 33 |
| 4.სტ.ეტიანი | 19 | 9 | 6 | 4 | 29-22 | 33 |
| 5.მონპელიე | 19 | 8 | 7 | 4 | 26-16 | 31 |
| 6.სტრასბური | 20 | 7 | 8 | 5 | 32-24 | 29 |
| 7.რენი | 19 | 8 | 5 | 6 | 28-25 | 29 |
| 8.ნიცა | 19 | 8 | 5 | 6 | 14-17 | 29 |
| 9.მარსელი | 18 | 8 | 4 | 6 | 31-27 | 28 |
| 10.რეიმსი | 20 | 6 | 9 | 5 | 16-19 | 27 |
| 11.ნანტი | 19 | 6 | 5 | 8 | 26-26 | 23 |
| 12.ნიმი | 18 | 6 | 5 | 7 | 26-28 | 23 |
| 13.ბორდო | 18 | 5 | 7 | 6 | 20-21 | 22 |
| 14.ტულუზა | 19 | 5 | 6 | 8 | 18-29 | 21 |
| 15.ანჟე | 18 | 4 | 8 | 6 | 20-22 | 20 |
| 16.კაენი | 20 | 3 | 9 | 8 | 20-28 | 18 |
| 17.ამიენი | 20 | 5 | 3 | 12 | 17-34 | 18 |
| 18.დიჟონი | 19 | 4 | 5 | 10 | 17-32 | 17 |
| 19.მონაკო | 19 | 3 | 5 | 11 | 17-30 | 14 |
| 20.გენგამი | 19 | 2 | 5 | 12 | 14-35 | 11 |

**პორტუგალია. პრიმეირა ლიგა**

ნასიონალი-ბელენენსეში ........................ 0:1
შავიში-ტონდელა ........................ 2:1
რიუ ავე-სეტუბალი ........................ 1:1

**საბერძნეთი. სუპერლიგა**

ლევადიაკოსი-ოლიმპიაკოსი ........................ 0:2
პანათინაიკოსი-ქსანთი ........................ 2:2
ასტერასი-პაოკი ........................ 0:3

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა

# მანჩესტერი იგებს და იგებს



მანჩესტერ იუნაიტედი საოცრებებს ჩადის – ჟოზე მოურინიოს წასვლის შემდეგ ოლე გუნარ სოლსკიაერი მივიდა და მას შემდეგ გუნდმა ზედიზედ 7 მატჩი მოიგო. თავად ოლე გუნარი ამბობდა, რომ მის გუნდს მთავარი გამოცდა „უემბლიზე", ტოტენჰემთან ელოდა და ეს გამოცდაც წარმატებით ჩააბარა – მანჩესტერმა მარკუს რეშფორდის ერთადერთი გოლით მოიგო.

გაგიკვირდებათ და ჩატარებული მატჩით ორივე მწვრთნელი კმაყოფილი გახლდათ.

**ოლე გუნარ სოლსკიაერი:**

– „უემბლიზე" ჩამოსვლა და ტოტენჰემის დამარცხება საოცარი შეგრძნებაა. მეორე ტაიმში მასპინძლებმა საოცარი მატჩი ჩაატარეს, ბევრი მომენტიც შექმნეს და დავიდ დე ხეა არ მოასვენეს, მაგრამ ყველას აქვს უფლება, რომ ჰყავდეს კარგი მეკარე. რა თქმა უნდა, როცა 11 სეივს აკეთებ, შენ უბრალოდ საოცარი ხარ და ეს ნიშნავს, რომ ძალიან კარგ მატჩს ატარებ. 2 სეივზე მეც გაოცებული დავრჩი, დანარჩენს კი დავიდისგან ველოდი. ჩვენ დაცვაში კარგად ვითამაშეთ. მატჩი მხოლოდ ერთ კაცს არ მოუგია, ეს კარგი გუნდური თამაში იყო.

**მაურისიო პოჩეტინო:**

– ძალიან ნასიამოვნები და კმაყოფილი ვარ. 4-წელიწადნახევრის შემდეგ ტოტენჰემმა საუკეთესო მატჩი ჩაატარა, მეორე ტაიმზე მაქვს საუბარი. ეს უბრალოდ ბრწყინვალე იყო. დავიდ დე ხეამ, მგონი, 11 სეივი გააკეთა, რაც ჩემთვის ამ მომენტშიც დაუჯერებელია.

ფეხბურთში ხანდახან გამარჯვებას იმსახურებ და ვერ იგებ, ხანდახან კი იგებ და არ იმსახურებ. ჩვენ ცუდი მატჩი არ ჩაგვიტარებია, ხანდახან ნაკლები შესაძლებლობების პირობებში გაგაქვს გოლი, თუმცა საწუწუნო არაფერი მაქვს. საოცარი მატჩი ჩავატარეთ.

# სტილისტმა ავტობუსში მძინარე მგზავრს თმები შეაჭრა

ჩინეთში ხანში შესულმა მამაკაცმა ავტობუსში მძინარე მგზავრს თმები შეაჭრა, რის შემდეგაც ის დააპატიმრეს.

ინციდენტი ჰონკონგში კვირა დღეს მოხდა. თვითმხილველის თქმით, 65 წლის მამაკაცს ძალიან აღიზიანებდა მის წინა რიგში მჯდომი გოგონას ვარცხნილობა, ცხენის კუდის სახით. მისი თმები იმდენად გრძელი იყო. რომ მის მუხლებამდე წვდებოდა. საბოლოოდ შეწუხებულმა მამაკაცმა ჩანთიდან




მაკრატელი ამოიღო და გოგონას რამდენიმე სანტიმეტრის თმა შეაჭრა. თვითმხილველის თქმით, ამის გამკეთებელი მამაკაცი, ნასვამს არ ჰგავდა.

მომხდარის თვითმხილველებმა მამაკაცს მოსთხოვეს გაჩერებულიყო და ჩაძინებული გოგონა გააღვიძეს. თმაშეჭრილი გოგონა გაბრაზდა და ატირდა. მძღოლმა პოლიცია გამოიძახა. არეულობის მოთავე შეეცადა პირველივე გაჩერებაზე გაქცევით ეშველა თავისთვის, მაგრამ მას ამის საშუალება მგზავრებმა არ მისცეს.

რამდენიმე გაჩერების შემდეგ ავტობუსში პოლიციელები ავიდნენ და მამაკაცი სხეულის დაზიანების ბრალდებით დააპატიმრეს. დაკავებულმა პოლიციელებს განუცხადა, რომ სტილისტად მუშაობს და სწორედ ამიტომ ყოველთვის თან დააქვს მაკრატელი.

*მოამზადა კახა ხატიაშვილმა*

# ლედი გაგასთვის შექმნილი ყელსაბამი ძველ ფოტოზე სხვა მომღერალს ეკეთა



ავსტრალიელმა მომღერალმა რიკი-ლი კოლტერმა განაცხადა, რომ მას რვა წლის წინ ეკეთა ყელსაბამი, რომლითაც ლედი გაგა 2019 წლის „ოქროს გლობუსის" პრემიის დაჯილდოების ცერემონიაზე მივიდა და რომელიც თითქოსდა საგანგებოდ მისთვის იქნა დამზადებული. კოლტერმა ამის თაობაზე ინსტაგრამში საკუთარ გვერდზე დაწერა.

– პირზე ნერწყვი მომადგა, როდესაც „ოქროს გლობუსზე" ლედი გაგას კაბას ვუყურებდი და უცბად Tiffany & Co-ს ბრწყინვალე ბრილიანტების ყელსაბამი შევნიშნე. მაშინვე გავიფიქრე: „ღმერთო ჩემო, მე ხომ ის უკვე მეკეთა!" მე პატივი მხვდა, ის გამეკეთებინა 2011 წელს მელბურნში გამართულ ღონისძიებაზე. რა თქმა უნდა, ის „ოქროს გლობუსი" არ ყოფილა, მაგრამ მასში თავს ნამდვილ პრინცესად ვგრძნობდი. მითხრეს, რომ მაშინ ის ყელსაბამი 10 მილიონი დოლარი ღირდა, – განაცხადა მომღერალმა.

თუმცა, მეორე დღეს, ლედი გაგამ კოლტერს საკუთარ აკაუნტში უპასუხა, რომ საიუველირო სახლმა Tiffany & Co-მ ეს სამკაული პირადად მისთვის შექმნა.

– ყელსაბამს „ავრორა" ჩრდილოეთის ციალის პატივსაცემად ეწოდა და ის გამოხატავს პატივისცემას ფილმისთვის „ვარსკვლავის დაბადება", – განმარტა ლედი გაგამ.

კომპანია Tiffany & Co-ს წარმომადგენლებმა ამ ფაქტის კომენტარისგან თავი შეიკავეს.

# მეგან მარკლი პირადი მცველის გარეშე დარჩა



პრინც ჰარის მეუღლე მეგან მარკლი თავის პირად მცველს დაშორდა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, სამეფო ოჯახის წარმომადგენელთან ნახევარი წლის მუშაობის შემდეგ სკოტლან-იარდის თანამშრომელმა, რომელიც მარკლის უსაფრთხოებას კუნძულ ფიჯიზე უზრუნველყოფდა, გადადგომის თაობაზე განცხადება დაწერა. აღსანიშნავია, რომ ეს გადაწყვეტილება უკავშირდება არა სასექსის ჰერცოგინიას მძიმე ხასიათს, არამედ მის ხალხთან უფრო ახლოს ყოფნის სურვილს.

– მათგან განსხვავებით, რომლებიც სამეფო ოჯახში გაიზარდნენ და მიჩვეულნი არიან მუდმივად დაცვის თანხლებით ცხოვრებას, ის (მეგან მარკლი) თავს შეზღუდულად და მეტად არაკომფორტულად გრძნობდა. მის მდგომარეობაში ის ვერსად ახერხებდა წასვლას დაცვის გარეშე, რაც ძალიან ბოჭავდა მის საქციელს, – აღინიშნა ინფორმირებულმა წყარომ.

# თურმე ჩემპიონობა უჩხუბრადაც შეიძლება

დასაწყისი მე-9 გვერდზე

79 კგ: 1. ნიკა კენჭაძე (ამბროლაური); 2. ტარიელ გაფრინდაშვილი (თბილისი); 3. ჯაბა ყველაშვილი (გორი), დავით ხუციშვილი (საგარეჯო);

86 კგ: 1. სანდრო ამინაშვილი (თბილისი); 2. ტარზან მაისურაძე (ყაზბეგი); 3. დემურ მეგენეიშვილი (სამტრედია), დავით ფირუზაშვილი (თბილისი);

92 კგ: 1. ირაკლი მწითური (თბილისი); 2. დავით მარსაგიშვილი (ყაზბეგი); 3. მექი სიმონია (ქუთაისი), იუზა ცერცვაძე (თბილისი);

97 კგ: 1. ელიზბარ ოდიკაძე (თბილისი); 2. გივი მაჭარაშვილი (მცხეთა); 3. ზურაბ ურთაშვილი (მცხეთა), მამუკა კორძაია (აჭარა);

125 კგ: 1. გენო პეტრიაშვილი (გორი); 2. როლანდ ანდრიაძე (ხონი); 3. ალექსი ჟორჟოლიანი (ქუთაისი), მარადი ვანაძე (აჭარა).

**გუნდური ჩათვლა**

1. ქუთაისი – 149 ქულა; 2. თბილისი – 144; 3. გორი – 128.

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა

55 კგ: 1. ნუგზარ წურწუმია (ხობი); 2. ზურაბ მაჭარაშვილი (ოზურგეთი); 3. ფრიდონ აბულაძე (აჭარა), აკაკი ოსიაშვილი (გარდაბანი);

60 კგ: 1. რამაზ სურმანიძე; 2. გიზო მელაძე (ორივე აჭარა); ნოდარ ოქრომჭედლიშვილი (თბილისი), ირაკლი ძიმისტარიშვილი (ოზურგეთი);

63 კგ: 1. ლევან ქავჟარაძე (ოზურგეთი); 2. ლერი აბულაძე (აჭარა); 3. ქერიმ მაჩალიკაშვილი (საგარეჯო), დავით ბაკურაძე (ოზურგეთი);

67 კგ: 1. საჩინო დავითაია (სენაკი); 2. მურად მიქელაძე (აჭარა); 3. ჯონი ხეცურიანი (ხობი), ედნარ შავაძე (აჭარა);

72 კგ: 1. რამაზ ზოიძე; 2. შმაგი ბოლქვაძე; 3. ოთარ აბულაძე (სამივე აჭარა), ნიკოლოზ ჭიკაიძე (გარდაბანი);

77 კგ: 1. ბექა მამუკაშვილი; 2. დემურ ქავთარაძე (ორივე გარდაბანი); 3. სერგო პოღოსიანი (თბილისი), გოგა აფრიამაშვილი (თბილისი, ომც);

82 კგ: 1. ლაშა გობაძე; 2. გელა ბოლქვაძე (ორივე აჭარა) 3. აივენგო რიკაძე (გარდაბანი), დიეგო ნერგაძე (ბაღდათი);

87 კგ: 1. რობერტ კობლიაშვილი (თბილისი); 3. შალვა ხაჩიძე (ხაშური), გიორგი ქაცანაშვილი (გარდაბანი).

ამ წონაში მეორეადგილოსანი ზურაბ დათუნაშვილი ფინალში ატეხილი ჩხუბის გამო დისკვალიფიცირებული იქნა, ამიტომ ეს ადგილი არ გათამაშდა.

97 კგ: 1. გიორგი მელია (სამტრედია); 2. მათე სოფაძე (ბაღდათი); 3. ალექსი ლოდია (ოზურგეთი), გივი თევდორაძე (ქუთაისი);

130 კგ: 1. იაკობ ქაჯაია (წყალტუბო); 2, ლევან არაბული (თბილისი); 3. სულხან ბუიძე (ქუთაისი), გიორგი ბარბაქაძე (გარდაბანი).

**გუნდური ჩათვლა**

1. აჭარა – 154 ქულა; 2. გარდაბანი – 110; 3. თბილისი – 102.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

## მალამო „მენტორი პირველი"

ტრადიციული საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული საუკეთესო ეფექტური სამკურნალო საშუალება – მალამო „მენტორი პირველი" გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: რადიკულიტი, ართროზი, სახსრებში მარილების დაგროვება, პოდაგრა, ნიკრისის ქარი, რევმატიზმი, ფრჩხილების სოკოვანი დაავადება, ასევე კოღოს ნაკბენის დროს.

გამოყენების წესი: მალამო უნდა შეიზილოთ დღეში ორჯერ მტკივნეულ ადგილებში, წელზე და მუხლებზე.

## მალამო მენტორი ხუთი

საუკეთესო, უნიკალური, ეფექტური, ბუნებრივი, საუკუნოვანი გამოცდილების მქონე სამკურნალო მცენარეებისგან დამზადებული სამკურნალო საშუალება.

მალამო მენტორი ხუთი გამოიყენება შემდეგი დაავადებების სამკურნალოდ: (გარქოვანება) ფეხის ქუსლების ნახეთქების, ბუასილის კვანძების სამკურნალოდ. მალამო უნდა შეიზილოთ მტკივნეულ ადგილებში; აწყნარებს, ხსნის დაჭიმულობას, ტკივილს, სიმძიმეს, წვას, აუმჯობესებს სისხლის მიმოქცევას კაპილარებში.

☎ 599-73-48-21; 598-73-48-21.

# ასტროპროგნოზი

## 15 იანვრისათვის



**ვერძი** – კომერციული საქმიანობა რეკომენდებული არ არის, დიდია მოტყუების ალბათობა. ენერგია დაზოგეთ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვას. ცდუნებას ნუ აჰყვებით. **კურო** – ერიდეთ უაზრო გარისკვასა და კომერციულ გარიგებებს. მოთმინება და თავშეკავება დღის დევიზია. **ტყუპები** – არაკეთილისმყოფელი, მძიმე დღეა. მიღებული ინფორმაცია აუცილებლად საგულდაგულოდ გადაამოწმეთ. საღამო ბუნებაში გაატარეთ. **კირჩხიბი** – კრიტიკული დღეა. სულიერ წონასწორობას უსიამოვნო ინფორმაცია დაგირღვევთ. თუმცა ეს მოდუნების საშუალებას არ მოგცემთ. სიტუაციას თამამი და გონივრული გადაწყვეტილების მეშვეობით გამოასწორებთ. **ლომი** – ცდუნებას ნუ აჰყვებით. სიჯიუტე და უხეშობა კონფლიქტამდე მიგიყვანთ. **ქალწული** – კარგი დღეა მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. ნაცნობობის წრის გაფართოება თქვენი წარმატების საწინდარია. **მასწორი** – წინააღმდეგობრივი დღეა. განსაკუთრებით იღბლიანი პერიოდია მდედრობითი სქესის წარმომადგენელთათვის. თქვენი მომხიბვლელობა გარშემომყოფების აღფრთოვანებასა და სიმპათიას იწვევს. **ღრიანკალი** – აქტიური და შემოქმედებითი დღეა. დღეს უმართლებთ თეატრის სფეროში მომუშავეებს. მსხვილი შენაძენისგან თავი შეიკავეთ. **მშვილდოსანი** – ახალი საქმე თამამად დაიწყეთ და ბოლომდე მიიყვანეთ. სასიყვარულო ურთიერთობებში ინტუიციას მიენდეთ. **თხის რქა** – საყიდლებზე წასვლა იღბლიანი იქნება. მეგობრები ფინანსურად დაგეხმარებიან. გართობა რეკომენდებულია ზომიერების ფარგლებში. **მერწყული** – ფინანსური ოპერაციებისას სიფრთხილე და თავშეკავება გამოიჩინეთ. ზოგიერთი ნაცნობის მიმართ ქცევის შეცვლა მოგიწევთ. ერიდეთ კონფლიქტურ სიტუაციებს და უფრო რბილი და მოქნილი იყავით. **თევზები** – თუ გაწყენინეს, შურისძიებაზე არც იფიქროთ. კეთილშობილება და მიმტევებლობა საქმეს უფრო წაადგება. პროფესიულ საქმიანობაში ცვლილებებია მოსალოდნელი.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

# კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. დონკიხოტის სატრფოს სახელი; 2. არანამდვილი, მაგრამ ნამდვილს მიმსგავსებული ნივთი; 3. ზღვისპირა კურორტი აჭარაში; 4. ებრაელთა საახალწლო დღესასწაული; 7. ყურის ანთება; 9. ლიტერატურის ერთ-ერთი ჟანრი; 12. ჩქარტემპიანი პოლონური ხალხური ცეკვა; 14. კომბინაცია პრეფერანსში; 15. ნიადაგის გასაფხვიერებელი კულტივატორი; 17. ჩინელი ფილოსოფოსი; 20. ჩამქრალი ვულკანი თრიალეთის ქედზე.

**თარაზულად:** 5. წითელი ფერის, მშრალი ქართული სამარკო ღვინო; 6. იტალიური რესტორანი; 8. ოპერის სიტყვიერი ტექსტი; 10. შთამომავლის, ნათესავის ძველი ქართული სახელწოდება; 11. მოსავლის ამღები კომბაინის წინა სამკალი ნაწილი; 13. პატარა თევზსაჭერი გემი; 16. ქართული გეოლოგიური სკოლის ფუძემდებელი მეცნიერი; 18. ხის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 19. აგატა კრისტის ნაწარმოებთა პერსონაჟი, დეტექტივი; 21. ქართული ტელეკომპანია; 22. ინგლისის ფეხბურთელთა გუნდი; 23. ჯეირანი ანუ...;

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 1. ტაბლეტი; 3. მარილი; 8. არტელი; 10. ლიანოსი; 11. კამეა; 12. მარადია; 14. დებიტი; 15. პრიმატი; 16. ლიოსი; 19. მიტენი; 20. კიმბალი; 21. იონიკა.

**შვეულად:** 1. ტეტრამეტრი; 2. ტაპირი; 3. მილორდი; 4. ლინზა; 5. კრენდელი; 6. ფერია; 7. ვიადუკი; 9. პრერია; 13. მარტი; 17. ოსპი; 18. ეხი.

**სკანვორდის პასუხები:**

1. კალა; 2. პრესი; 3. მანონ; 4. მთა; 5. „ალია"; 6. „პიგმალიონი"; 7. „ილიადა"; 8. იპრი; 9. საგა; 10. სპიჩი; 11. პლანეტა; 12. აკირა; 13. მა; 14. ლაინერი; 15. რაე; 16. ჩაი; 17. კობიაშვილი; 18. ტომ; 19. რამპა; 20. რუბაია; 21. ნობათი; 22. მაკარენა; 23. სნო; 24. პანტა; 25. ამიმია; 26. რეალი; 27. ბურანი; 28. ლორდი; 29. ერესი; 30. ელიტა; 31. ლიანდაგი; 32. ირიდა; 33. იერი; 34. იგავი.

**სურათებზე:** კირა ნაითლი; ლუიშ ნანი.

# დემნა გვასალია ახალ კოლექციას წარმოადგენს



17 იანვარს დემნა გვასალია მოდის მოყვარულებს ახალ კოლექციას შესთავაზებს.

დემნა კვლავაც ორიგინალურობით გამოირჩევა, მოდის კალენდარს არ ემორჩილება და რამდენიმე თვით ადრე სთავაზობს საკუთარ ნამუშევრებს მსოფლიოს. მარტის ნაცვლად ვეტმანი ახალ კოლექციას იანვარში გამოიტანს.

თუ რატომ გამოეყო მსოფლიო მოდის კალენდარს, ამ კითხვით ჟურნალისტებმა ვეტმანის დირექტორს, გურამ გვასალიას, მიმართეს:

***– მოდის კალენდარს რატომ გამოეყავით?***

– ინდუსტრია მოძველებული წესებით მუშაობს. ისევ 50 წლის წინ ცხოვრობენ და იმედი აქვთ, რომ დღევანდელობა მათთან დიალოგში შევა. დღეს მყიდველები ბიუჯეტის 80 პროცენტს პრე-კოლექციებზე ხარჯავენ. ამის მიზეზი ჩაბარების ციკლია.

თუ ყველაფერი კარგად წავიდა, მარტში წარდგენილი კოლექციები ივლისის ბოლოს ხვდება მაღაზიებში. განსხვავებული შემთხვევითობებისას – სექტემბერში, ან ოქტომბერში, რადგან ფაბრიკები აგვისტოში ისვენებენ.

ამერიკელი მყიდველები ფასდაკლებას მადლიერების დღესვე იწყებენ. აქედან გამომდინარე, ძირითადი კოლექციები დაახლოებით 8 კვირა რჩება თაროზე, როცა პრე-კოლექციები ფასდაკლებამდე 24 კვირა რჩება გასაყიდად.

ჩვენ ძირითადი კოლექციის ჩვენება მარტიდან იანვარში გადმოვწიეთ, რადგან ასე უფრო ადრე მოხდება ჩაბარება და მაღაზიებში გასაყიდად უფრო დიდი ხნით დარჩება.

# ანიტა რაჭველიშვილის სპექტაკლს კინოთეატრ „ამირანში“ აჩვენებენ



მსოფლიოში აღიარებული ქართველი მეცო სოპრანოს, ანიტა რაჭველიშვილის, სპექტაკლს კინოთეატრ „ამირანში“ აჩვენებენ.

ეს არის მსოფლიოში გავრცელებული პრაქტიკა, როდესაც დიდ ეკრანზე დიდი საოპერო წარმოდგენების ჩვენება ხდება. წელს ეს ტრადიცია საქართველოშიც დაიწყება. პირველი ოპერა, რომელსაც თბილისელი მაყურებელი ნახავს, ჯუზეპე ვერდის „აიდაა“, სადაც მთავარ პარტიას ანიტა რაჭველიშვილი ასრულებს.

ამნერისი ქართველი მეცო სოპრანოს შესრულებით უცხოურმა მედიამ ერთ-ერთ საუკეთესოდ აღიარა. უცხოურმა პრესამ მას უამრავი სტატია, რადიოგადაცემა თუ სატელევიზიო ეთერი მიუძღვნა.

ანიტა რაჭველიშვილის ამ პარტიაზე გამოცემები წერენ, რომ ვერდის ოპერას არა „აიდა“, არამედ „ამნერისი“ უნდა ერქვას.

ოპერა, რომელსაც კინოთეატრი ამირანი წარმოადგენს, მეტროპოლიტენ ოპერაში გასული წლის შემოდგომაზე დაიდგა.

ჯუზეპე ვერდის აიდაში ამნერისის პარტია ანიტა რაჭველიშვილმა პირველად მიჩიგანის ოპერის თეატრში იმღერა. მას შემდეგ ქართველი მომღერალი მსოფლიოს წამყვანი სხვადასხვა თეატრის სასურველი სტუმარია.

# ჯვრის მონასტერი ტაძრის წინამძღვარმა დაკეტა



მცხეთაში მდებარე ჯვრის მონასტერი მისმა წინამძღვარმა კონსტანტინე ჯინჭარაულმა დაკეტა.

მასში შესვლა არც ტურისტებს და არც ადგილობრივებს არ შეუძლიათ.

როგორ ჟურნალისტებს ჯვრის მონასტრის მიმდებარე ტერიტორიაზე მყოფმა გარემოვაჭრეებმა განუცხადეს, მიზეზი ტაძრის წინამძღვარსა და მათ შორის არსებული დაპირისპირებაა. მოვაჭრეები ამბობენ, რომ ტაძრის წინამძღვარს არ სურს, რომ ჯვრის მონასტრის ტერიტორიაზე გარემოვაჭრეები იდგნენ. კონსტანტინე ჯინჭარაული მათ არ ხვდება და სასაუბროდ მხოლოდ ბერები გამოდიან.

სასულიერო პირებმა ჯვრის მონასტრის კარის მრევლისთვის ჩაკეტვაში მცხეთის მერი დაადანაშაულეს, რაც ქალაქის მერმა, გიორგი კაპანაძემ, კატეგორიალუდ უარყო.

# „პრეზიდენტი“ – ახალი ქართული ფილმი კინოთეატრებში გამოდის




17 იანვარს რეჟისორი გია კაჭარავა კინოს მოყვარულებს ახალ ქართულ ფილმს წარუდგენს.

„პრეზიდენტი“ – ასე ჰქვია კინოკომედიას, რომელშიც ქართველი ბელადი იოსებ სტალინიც გაცოცხლდება. მის როლს ანსამბლ „მეტეხის“ დამფუძნებელი გელოდი ფოცხიშვილი ასრულებს.

შემოქმედებითმა ჯგუფმა რამდენიმეთვიანი მუშაობა დაასრულა და ახლა თავის შემოქმედებას ფართო საზოგადოებას წარუდგენს.

„მაიტა ნასოსის“ შემდეგ გია კაჭარავა მაყურებელს კიდევ ერთ კომედიას სთავაზობს.

# მასტერი მენეჯერს ეძებს — ანაზღაურება 0 ლარი



მომღერალი გიორგი პავლიაშვილი, იგივე მასტერი მენეჯერს ეძებს, რომელსაც ანაზღაურება 0 ლარი ექნება:

– ჩემი მენეჯერის პოსტზე ვეძებ ადამიანს.

ასაკი: 22-დან ზემოთ.

საქმე: კონცერტების ორგანიზება, კლიპის დირექტორი, ჟურნალისტებთან კავშირი და ყველაფერი, რაც ჩემს კარიერასთან არის დაკავშირებული.

მოლაპარაკებების დიდოსტატი უნდა იყოს და საკუთარ შესაძლებლობებში დარწმუნებული.

ანაზღაურება: 0 ლარი.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# სამგლოვიარო განცხადებები



82 წლის ასაკში მეგობრებს გამოაკლდა

## ზურაბ მარშანია

ადამიანი, შვილებისა და შვილიშვილების მოტრფიალე, მოესწრო შვილთაშვილის დაბადებას.

ხალისიანი ადამიანი მეგობრებში გამოირჩეოდა იუმორის დიდი გრძნობით. უყვარდა ცხოვრების ეპიზოდების ხალისიანი გადმოცემა. დიდი ხელოვნებით უძღვებოდა სამეგობრო სუფრებს.

ნათელში ამყოფოს ზეციურ სამყაროში მისი ულამაზესი სული.

**მეგობრები გამოფენიდან**



ორმოცი დღე კი არა, ორმოცი საუკუნე ვერ გაანელებს იმ საშინელ ტკივილს, რაც

## იაგო ველოდის ძე ნანავას

მოულოდნელმა ტრაგიკულმა დაღუპვამ გამოიწვია მისი უახლოესი ადამიანების გულში. დასანანია, მის შესახებ წარსულში მოგვიწევს ხსენება, არადა, როგორ უყვარდა სიცოცხლე და ესიამოვნებინება მისი საყვარელი ადამიანებისთვის.

უზენაესის განგებით, დღევანდელი დღე შენი ცად ამაღლების, მარადიულ სასუფეველში ღმერთთან ახლოს ყოფნის მომენტია აწ და მარადის, საიდანაც თქვენი მაგიური ძალა და მფარველობა არ მოაკლდება შენს საყვარელ ოჯახს, მოსიყვარულე დებს და მამას, რომლის გახარება გინდოდა საახალწლოდ და ვერ ჩააღწიე.

ნათელში იყოს შენი უკვდავი, სპეტაკი, უწმინდესი სული, ამინ!

**თქვენი სათაყვანებელი პედაგოგებისა და თანაკლასელების სახელით, რაჟდენ ქარდავა**

ძირძველი სამურზაყანო, პირველი გალის ნალები საზოგადოება, ინტელიგენცია, უახლოესი ნათესავ-მეგობრები უდიდესი გულისტკივილით თანაუგრძნობენ მზია და თამაზ გაბლაიებს, რომ ტრაგიკულად დაიღუპა ქრისტეს ასაკში, ჯინჯოლიებისა და გაბლაიების გვარში ულამაზესი გარეგნობის, დიდი მომავლის მქონე ახალგაზრდა ვაჟკაცი, ბატონი

## ნიკა თამაზის ძე გაბლაია

უზენაესი ღმერთიც საუკეთესოს ითხოვსო მსხვერპლად, აქ კი ადამიანთა შესაძლებლობა უძლურია და მშობლებისათვის ვერაფერი ნუგეშია.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს ზეციურ სამყაროში მისი ულამაზესი სული, ამინ!

**ოდაბადედან გულდათუთქული საზოგადოების სახელით, რაჟდენ ქარდავა**

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

## კალეიდოსკოპი

### ვიეტნამელს ყელიდან წურბელა ამოაცალეს



ვიეტნამში ექიმებმა პაციენტს ყელიდან 15-სანტიმეტრიანი წურბელა ამოაცალეს. ამ მოვლენის ამსახველი ვიდეო ერთ-ერთმა საინფორმაციო პორტალმა გამოაქვეყნა.

იანვრის დასაწყისში ქვეყნის ჩრდილოეთ პროვინცია ხაზიანგის მცხოვრებმა ქალბატონმა ექიმებს შაკიკის თაობაზე მიმართა, რომელიც მას ბოლო სამი თვე აწუხებდა. მან განაცხადა, რომ დროდადრო ახველებდა და სისხლს აფურთხებდა. საგულდაგულო გამოკვლევის შემდეგ 63 წლის ქალს ყელში სიმსივნე დაუდგინეს და ის საოპერაციოდ გაგზავნეს.

ოპერაციის დროს ექიმებმა ქალის ყელში უზარმაზარი წურბელა აღმოაჩინეს. ცოცხალი პარაზიტის მოშორებას მათ ნახევარი საათი მოანდომეს.

ექიმმა ნგუენ თხან ნამმა, რომელმაც ქალს ოპერაცია გაუკეთა, აღნიშნა, რომ წურბელის მოშორება დროულად მოხერხდა, რადგანაც მან ყელისთვის მნიშვნელოვანი ზიანის მიყენება ვერ მოასწრო. ექიმმა იქვე აღნიშნა, რომ, ჩვეულებრივ, პარაზიტები ცხვირში სახლდებიან.

ქალმა აღიარა, რომ პირს ხშირად იბანს წყაროზე. ექიმები ფიქრობენ, რომ პარაზიტმა მის ორგანიზმში სწორედ ერთ-ერთი მორიგი წყლის პროცედურის დროს შეაღწია.

### ბოდიბილდერმა საჭმელი შარდით ჩაანაცვლა



ბოდიბილდინგში კანადელი ჩემპიონი ამტკიცებს, რომ ქრონიკული ტკივილები შარდისა და ხილის დიეტით დაამარცხა.

რამდენიმე წლის წინ ჯონ დეპასმა უარი თქვა ცხოველურ საკვებზე, შემდეგ კი საკვები საკუთარი შარდით შეცვალა. ახლა ის ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით არაფერს ჭამს და მხოლოდ საკუთარ შარდს სვამს, შაბათობით რომელიმე ხილს მიირთმევს და სმუზის სვამს, ხოლო კვირას მიირთმევს ხორცს მაკარონით, ბრინჯით ან კარტოფილით.

– თუ ვიგრძენი, რომ კვირის განმავლობაში რაიმე უნდა შევჭამო, ასეთ შემთხვევაში ვსვამ წვენს, რომელშიც შედის ვაშლი, ჭარხალი, სტაფილო და ნიახური, მხოლოდ დღეში ერთხელ, ხოლო დანარჩენი 23 საათი ვცდილობ, კუჭში არაფერი ჩავუშვა, – განმარტავს ბოდიბილდერი.

ექვს თვეში შარდისა და ხილის დიეტით მან წონაში 82-დან 68 კილოგრამამდე დაიკლო, მაგრამ, ამავე დროს, ამტკიცებს, რომ ტკივილები მოიშორა და თავს უფრო ჯანმრთელად გრძნობს.

### შავკანიანებს კანის გათეთრება აუკრძალეს

აფრიკულ ქვეყანა რუანდაში მათეთრებელი საშუალებებით კანის გათეთრებასთან ბრძოლა დაიწყეს.

ამ აფრიკული ქვეყნის პრეზიდენტმა პოლ კაგამემ განაცხადა, რომ მა-



თეთრებელი საცხები მავნებელია ჯანმრთელობისთვის და პოლიციას და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს მოუწოდა „ყველაფერში სასწრაფოდ გაერკვნენ“. ამ დროისთვის მიმდინარეობს ბაზრობების პატრულირება როგორც ქვეყნის დედაქალაქ კიგალიში, ისე საზღვრისპირა რაიონებში.

ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, ყველა კანის გამათეთრებელი საშუალება შეიცავს ისეთ ქიმიურ ნივთიერებებს, როგორებიცაა ვერცხლისწყალი და ჰიდროქსინონი, რომლებიც ღვიძლის დაზიანებას იწვევენ, აქვეითებენ იმუნიტეტს ინფექციების მიმართ, იწვევენ შიშებს, დეპრესიას და ფსიქოზს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**15 იანვრისთვის**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი


აშშ დოლარი — 2.6650


ევრო — 3.0546


ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.4227


100 რუსული რუბლი — 3.9875

## ამინდის პროგნოზი 15 იანვრისთვის





## 10 იანვრიდან

რომან გვენცაძე

### საბედისწერო გასროლა




ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## 15 იანვრიდან




ჯემალ ჩახავა

### ქურდები და არიფები

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი

## 17 იანვრიდან

ავთანდილ ბუხრაშვილი

### ვინ მოკლა ინსპექტორი




ფასი გაზეთთან ერთად 5 ლარი


## პოლ პოგბა: „მოურინიოს დროს თავისუფლება არ მქონდა“



მანჩესტერ იუნაიტედის ფრანგმა ნახევარმცველმა პოლ პოგბამ თავის თამაშზე ისაუბრა და თქვა, რომ მოურინიოს დროს ის თავისუფლად ვერ გრძნობდა თავს და ამის გამო ვერ ახერხებდა თავისი შესაძლებლობების გამოვლენას.

– როდესაც მოურინიო იყო ჩვენი მწვრთნელი, თავს თავისუფლად ვერ ვგრძნობდი, რადგან ყველაფერი ტაქტიკის გარშემო ტრიალებდა ახლა ყველაფერი სხვაგვარად არის და გუნდს ეს მაშინვე დაეტყო. მიხარია, რომ კრიზისის დაძლევა შევძელით, – განაცხადა პოგბამ.

## ლიონელ მესის ლა ლიგაში 400 გოლი დაუგროვდა



ლეგენდარულმა ლიონელ მესიმ კიდევ ერთი რეკორდი დაამყარა. მესის ანგარიშზე ესპანეთის ჩემპიონატში უკვე 400 გოლია, ასეთი შედეგი კი არავის ჰქონია არც ერთ ჩემპიონატში.

მესიმ კვირას ეიბარის კარი დალაშქრა და საიუბილეო გოლიც გაიტანა. ეიბარი ბარსელონამ იოლად დაამარცხა 3:0 და ლიდერობა გაიმყარა.

ამჟამად კატალონიელები მეორე ადგილზე მადრიდის ატლეტიკოს 5 ქულით ასწრებენ, რეალი კი ბარსელონას 10 ქულით ჩამორჩება.

## მარკ ბარტრა: „ვინისიუს ჟუნიორმა შემაგინა“



ბეტისის ცენტრალურმა მცველმა იმ ინციდენტზე ისაუბრა, რომელიც მასსა და რეალის ახალგაზრდა ფორვარდ ვინიციუს ჟუნიორს შორის მოხდა.

ბარტრას თქმით, ვინიციუსმა მას შეაგინა და შეურაცხყოფა მიაყენა, თუმცა ბარტრამ გადაწყვიტა, რომ ვინიციუსთან ურთიერთობის გარკვევა არ დაეწყო:

– ვინიციუსს ვუთხარი რომ ის სიმულირებდა, რაზეც მან დედაჩემი ულირსად მოიხსენია. არ მინდოდა, მსაჯს გავეძევებინე, ამიტომ თავი შევიკავე. ვინიციუსი ულირსად მოიქცა და თუ ასე გააგრძელა, ეს მისთვის ცუდად დასრულდება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## იუმორი

ქმარი სახლში მიირბენს, დიდ ჩანთას აიღებს და სასწრაფოდ თავისი ნივთების ჩალაგებას დაიწყებს. გაკვირვებული ცოლი ეკითხება:

– ძვირფასო, რა მოხდა, სად მიდიხარ?

– ნიკარაგუაში!

– რისთვის?

– იქ თურმე ქალები ერთხელ სექსისთვის მამაკაცს ხუთ დოლარს უხდიან!

ცოლიც ეცა მეორე დიდ ჩანთას და თავისი ნივთების ჩალაგება დაიწყო. ქმარი ეკითხება:

– და შენ საით?

– ნიკარაგუაში!

– რისთვის?

– მინდა ვნახო, თვეში ათ დოლარად როგორ იცხოვრებ!

●●●

დილით ქმარი ცოლს ეკითხება:

– ძვირფასო, მაპატიე, გუშინ კორპორატიულზე ზედმეტი მომივიდა, არც კი მახსოვს, სახლში როგორ მოვედი, ნორმალურად მაინც ვიქცეოდი?

– ნუ ნერვიულობ... ყველაფერი ნორმალურად იყო, საოცრად თავაზიანი იყავი. ფულსაც კი მიტენიდი... ტრუსიკში.

●●●

ექიმი პაციენტს ეუბნება:

– ესეც ასე, აი, თქვენი დიეტა: დღეში 300 გრამი მოთუშული ყაბაყი, 400 გრამი მწვანილი და სალათის ფურცლები, რამდენიც გინდა.

– ექიმო, კისერზე ზანზალაკის ჩამოკიდება აუცილებელია თუ მის გარეშე ძოვაც შეიძლება?

●●●

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– ამ ახალ წელს რა ჩაიფიქრე?

– უფრო წარმატებული გავხდე!

– ანუ გინდა, რომ წელს უფრო წარმატებით იკოტრიალო დივანზე, ვიდრე გასულ წელს კოტრიალობდი?

●●●

ცოლი ქმარს ეუბნება:

– ჩვენმა შვილმა მათემატიკაში ისევ ორიანი მიიღო.

– გამოცდილი რეპეტიტორი უნდა მოვუძებნოთ.

– ჰო, მაგრამ, ამოცანები შენ ამოუხსენი.

– მაშინ მე მჭირდება რეპეტიტორი.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

## ჯიჯი ჰადიდმა თმები გაყიდა



ამერიკელმა სუპერმოდელმა ჯიჯი ჰადიდმა მილანში მოდის კვირეულის ფარგლებში მონაწილეობა მიიღო იტალიური მარკის პრადას ჩვენებაში. თვისი გამოსვლის ვიდეო მან ინსტაგრამში გამოაქვეყნა.

შოუზე 23 წლის მოდელმა წარმოადგინა ცისფერი კაბა-პერანგი, მბრწყინავი ელემენტებით და მასიური შავი ფეხსაცმლით. ვიდეორგოლში ასევე ჩანს, რომ ჰადიდს თმები მოკლედ აქვს შეჭრილი.

– როდესაც არც კი გჯერა, რომ ასეთი ოცნება შეიძლება აგისრულდეს... პრადას 2019 წლის შემოდგომა-ზამთრის ჩვენებაში მონაწილეობის მიღება ჩემთვის უდიდესი პატივია – აღნიშნა სუპერმოდელმა და მადლობა გადაუხადა მიუჩუ პრადუს და მის გუნდს შოუს ორგანიზებისთვის.

## ბასილაშვილმა ავსტრალიის ღია პირველობა გამარჯვებით დაიწყო



### ენდი მარეი ავსტრალიას გამოეთიშა

მელბურნში წლის პირველი დიდი სლემის ტურნირი გამარჯვებით დაიწყო საქართველოს პირველმა ჩოგანმა ნიკოლოზ ბასილაშვილმა.

ქართველმა ჩოგბურთელმა პირველ მატჩში რეიტინგის 170-ე ნომერი კრისტოფერ ეუბანკსი 4 სეტში – 6:4, 4:6, 7:6(6), 6:3 დაამარცხა და შემდეგ ეტაპზე იტალიელ სტეფანო ტრავალიას შეხვედრება, რომელმაც თავის მხრივ, არგენტინელი გვიდო ანდრეოცი დაამარცხა.

ამ გამარჯვებით ნიკოლოზ ბასილაშვილმა 45 სარეიტინგო ქულა დააგროვა, ტრავალიასთან შეხვედრას კი ოთხშაბათს, 16 იანვარს გამართავს.

შოტლანდიელი ენდი მარეი კი ავსტრალიას გამოეთიშა.

მარეის ტრავმების გამო დიდი დრო გაუცდა და ბოლო პერიოდში ის იშვიათად ჩნდებოდა კორტებზე. მარეიმ ესპანელ ბაუტისტა აგუტთან დამარცხდა 5 სეტში და ეს შეხვედრა 4 საათი და 9 წუთი გაგრძელდა.

მარეიმ თამაშის შემდეგ თქვა, რომ მას ჯერ არ მიუღია გადაწყვეტილება, გააგრძელებს თუ არა ის კარიერას, რადგან მას ტრავმა ისევ აწუხებს. მარეიმ მადლობა გადაუხადა გულშემატკივარს მხარდაჭერისთვის და თქვა, რომ ავსტრალია ძალიან უყვარს.

მარეი ავსტრალიის ღია პირველობაზე 5-ჯერ გავიდა ფინალში, მაგრამ ხუთჯერვე დამარცხდა.

## კარიმ ბენზემამ ხელის ტრავმა მიიღო



მადრიდის რეალის ფრანგმა ფორვარდმა კარიმ ბენზემამ ბეტისთან შეხვედრის დროს ხელის თითი მოიტეხა და მას რამდენიმე კვირა უქმობა მოუწევს.

ბენზემამ თავის ტრავმაზე ისაუბრა და თქვა, რომ ის ისეთი სერიოზული არ არის და შესაძლოა, ის მალე დაბრუნდეს მოედანზე.

ბეტისთან შეხვედრა რეალმა 88-ე წუთზე დანი სებალიოსის მიერ გატანილი გოლის წყალობით მოიგო და სატურნირო ცხრილში მე-4 ადგილზე გადაინაცვლა.

ლიდერ ბარსელონას მადრიდელები 10 ქულით ჩამორჩებიან.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სახელმწიფო ევროპაში; 2. ეთერზეთოვანი მცენარე, სურნელოვანი ყვავილი; 3. უფროსი მღვდელი მართლმადიდებელ ეკლესიაში; 4. სატუსაღო ძველ თბილისში; 7. უძველესი ქართული ხალხური სიმებიანი მუსიკალური ინსტრუმენტი; 9. პირველი იაპონური დედამიწის ხელოვნური თანამგზავრი; 12. სხვადასხვა ნაწილებისგან შეკოწიწებული რამე; 14. ფულის გამოძალვა; 15. პოლონეთის ძველი დედაქალაქი; 17. ნიჟარაში ბინადარი რბილსხეულიანი ცხოველი; 20. ფულის ერთეული ყაზახეთში.

**თარაზულად:** 5. კამერული ჟანრის მუსიკალური ნაწარმოები; 6. ქართველი მოდელიორი ქალი; 8. სპორტის ოლიმპიური სახეობა; 10. საკანონმდებლო ორგანოს წევრი აშშ-ში; 11. სპეციალური სათხილამურო ფეხსაცმელი; 13. ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი; 16. სიცოცხლის გავრცელების არე დედამიწაზე; 18. თხრობითი ხასიათის ლექსი; 19. მზის სისტემის პლანეტა; 21. საკვები პროდუქტების მწარმოებელი შვეიცარიული ფირმა; 22. ანტიკური ორთვლიანი, ოთხცხენიანი ეტლი; 23. იატაკის ხის საფარი.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

